საკაიფო გაზეთი

№14 (425) • 12 აპრილი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ომი ფურთხით ანუ რა ხდება მაშინ, როცა ერი თავის ღირსეულ შვილებს ვერ იცავს...

„ერთადერთი, ვისაც „რუსთავი-2“-ზე დიდი ხალისით და ენთუზიაზმით ლანძღავენ, აქილიკებენ, თავიანთი ჭკუით ამასხარავებენ, ბიძინა ივანიშვილია, თორემ, სხვა მხრივ, „რუსთავი-2“-ი ხელისუფლებას ნაკლებად ერჩის“.

პაატა ხიზანაშვილი:

ქვემო ქართლის რეგიონი „მწვანე მხარედ“ უნდა იქცეს

ზაზა ხატიაშვილი „ნაციონალების“ ზონდერ- ადვოკატია?

მთავარი პროვოკატორი და სხვანი...

ნანუკა და „საკაიფო“ ქვეყნის „საკაიფო“ ამბები

თუ ეს კონსტიტუცია ყველასია, მაინცდამაინც ჩემი პრეზიდენტი რატომ დამიჩაგრეთ?

„მეფე ლირი“ – ადამიანის მარადიული ტრაგედია

ომი ფურთხით ანუ რა ხდება მაშინ, როცა ერი თავის ღირსეულ შვილებს ვერ იცავს...

ვახტანგ ხარჩილავა:

გასული კვირის პარასკევს, პარლამენტში მარგველაშვილის მოხსენების შემდეგ გამართულ დებატებში ერთი უცნაური ამბავი მოხდა — იმის ნაცვლად, რომ მარგველაშვილის მოხსენების გარშემო ესაუბრათ, საპარლამენტო ოპოზიციამ საპარლამენტო ტრიბუნა ბიძინა ივანიშვილის სალანძღავად გამოიყენა.

ოპოზიციას, ფაქტობრივად, დაავიწყდა, რისთვის იყო მოწვეული ეს სხდომა, დაავიწყდა სავარძელს მოწყენილად მითენთილი პრეზიდენტი მარგველაშვილიც და მისთვის გამოყოფილი მთელი დრო ბიძინა ივანიშვილის ლანძღვას მიუძღვნა.

ჩვენდა გასაკვირად, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობიდან მხოლოდ რამდენიმე კაცმა გააპროტესტა, ეს აღვირახსნილი უმსგავსობა.

სამწუხაროდ, არ დასმულა კითხვა, პრეზიდენტის მოხსენების გარშემო გამართული საპარლამენტო დებატები იყო ეს თუ ბიძინა ივანიშვილის სასამართლო პროცესი, რომელსაც პირდაპირი ეთერით გადასცემდა „რუსთავი-2“.

„რუსთავი-2“-მა, რა თქმა უნდა, წინასწარ იცოდა თავისი პოლიტიკური მოკავშირეებისგან, რა უნდა მომხდარიყო ამ სხდომაზე და ამიტომ გადაწყვიტა, ძვირფასი დრო სხდომის პირდაპირი ტრანსლაციისთვის დაეთმო, თორემ სხვა მხრივ მას, როგორც კერძო ტელეკომპანიას, არანაირი ვალდებულება არ გააჩნდა ეს გაეკეთებინა.

კაცმა რომ თქვას, ეს „რუსთავი-2“ ცოტა არ იყოს, უცნაურად იქცევა – დააკვირდით მის საინფორმაციო გამოშვებებს, დააკვირდით, როგორ აშუქებს იგი სხვადასხვა ღონისძიებებს და, შეიძლება იფიქროთ, რომ ეს ტელევიზია სულაც არ არის ოპოზიციური და რადიკალურად კრიტიკული არხი.

ერთადერთი, ვისაც „რუსთავი-2“-ზე დიდი ხალისით და ენთუზიაზმით ლანძღავენ, აქილიკებენ, თავიანთი ჭკუით ამასხარავებენ, ბიძინა ივანიშვილია, თორემ, სხვა მხრივ, „რუსთავი-2“-ი ხელისუფლებას ნაკლებად ერჩის.

როგორც ირკვევა, „რუსთავი-2“-ს მილიონობით ლარი აქვს გადასახდელი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, თუმცა ამ სერიოზული დავალიანების დროულად გადახდას ამ „დაჩაგრულ“ და „დევნილ“ კომპანიას არავინ აჩქარებს და ისიც არხეინად აბურთავებს ბიძინა ივანიშვილის სახელს, ხან „არჩევანში“, ხან „P.S.“-ში, ხან „ნაცმოძრაობის“ სტაჟიანი ტაკიმასხარის, ვანო ჯავახიშვილის შოუში.

ძნელი სათქმელია, რა ჰქვია ყოველივე ამას და რით და როგორ შეიძლება აიხსნას „რუსთავი-2“-ის ამგვარი ბილინგვური მოღვაწეობის საიდუმლო?

არა მარტო „რუსთავი-2“-ში, არამედ, ზოგადად, ქართულ მედიაში ისეთი ქვედინებები შეინიშნება, რომელთა გაშიფვრა და გაანალიზება ჯერჯერობით არავის უცდია.

ასეა თუ ისეა, საქართველოში პრესა ხელისუფლების ზეწოლისგან ნამდვილად თავისუფალია, მაგრამ რამდენადაც არის იგი თავისუფალი იმ უხილავი ძალებისგან, რომლებიც ოფიციალურად არსად ფიგურირებენ, მაგრამ მათი ხელი ყველგან ჩანს, აი, ეს კიდევ საკითხავია.

◆

გიორგი მარგველაშვილმა პარასკევის საპარლამენტო სხდომაზე კიდევ უფრო განგვიმტკიცა აზრი, რომ ეს ადამიანი საქართველოს პრეზიდენტი კი არა, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობოთა ერთი ნაწილის, „ქართულ ოცნებაზე“ რაღაცით უკმაყოფილო და განაწყენებული მოქალაქეების პირადი პრეზიდენტია, რომელიც ცდილობს, მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მათი დახმარებით და მათზე დაყრდნობით შეინარჩუნოს საპრეზიდენტო სავარძელი.

მარგველაშვილი თავგამოდებით კი ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ის პირუთვნელი არბიტრის, გამაერთიანებლის ფუნქციას ასრულებს, თუმცა, სინამდვილეში, ის თავისი ეგოისტურ-კარიერისტული ინტერესებიდან გამომდინარე, კი არ აერთიანებს, არამედ ხლეჩს საზოგადოებას.

გიორგი მარგველაშვილი, რომელიც სულ უფრო და უფრო მძაფრად ამჟღავნებს თავის ნარცისულ ბუნებას და უცნაურ ფსიქოლოგიურ შტრიხებს, საქართველოს პარლამენტის

სხდომაზე ისე ელაპარაკებოდა საქართველოს პარლამენტის წევრებს, თითქოს საქართველოს კი არა, რომელიღაც სხვა ქვეყნის პრეზიდენტი იყო.

ჩვენ არ ვიცით იმ ქვეყნის სახელი, რომლის პრეზიდენტიც ბატონი მარგველაშვილია, თუმცა ის კი დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ქვეყანა საქართველო არ არის...

◆

ერი, რომელიც არ ცდილობს ავაზაკებისა და სალახანებისგან დაიცვას თავისი ღირსეული და გამორჩეული შვილები.

ერის სირცხვილია, როცა ბიძინა ივანიშვილს შეურაცხყოფენ და ამის გამკეთებლებს საკადრის პასუხს ვერ ვცემთ.

ერის სირცხვილია ისიც, როცა ნახევარი მილიონი ქართველი „ნაცმოძრაობას“ აძლევს დასტურს პარლამენტში შესასავლელად, ისინი კი, ხალხის „რჩეულების“, ხალხის „წარმომადგენლების“ მანდატით აღჭურვილნი, კვლავ ძველებური შემართებით უტევენ საქართველოს.

— საქართველოს კი არა, ბიძინა ივანიშვილს ვებრძვით ჩვენ, ერთი კაცის მმართველობას ვებრძვით, რითაც დემოკრატიას და ქვეყნის ევროპული განვითარების პერსპექტივას ვიცავთო, — შემედავებიან, ალბათ, „ნაცები“ და მათი ფანები.

— არა, არა, საქართველოს ებრძვით თქვენ. როცა ბიძინა ივანიშვილს ებრძვით, რადგან იცით, რომ მოცემულ სიტუაციაში ბიძინა ივანიშვილის მხრებზე და მის ავტორიტეტზე დგას ეს ქვეყანა. საკმარისია, ივანიშვილი გამოაცალო ამ ქვეყანას და მისგან შეიძლება ნანგრევებიღა დარჩეს.

რატომ არ ითქვა ეს ხმამაღლა და გარკვევით „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის მიერ პარასკევის სხდომაზე, როცა ნაცები და მათი პოლიტიკური ნაბუშრები, სიძულვილით აღვსილნი, შხამსა და გესლს ანთხევდნენ მათი დამმარცხებლის მისამართით?

რა გჭირთ თქვენ, „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობავ, უმრავლესობა რომ გქვიათ და დებატებისა და დისკუსიების დროს უმცირესობად რომ ჩანხართ?

რა გჭირთ თქვენ, „ქართული ოცნების“ დეპუტატებო, მხოლოდ 10-15 კაცი რომ აქტიურობს, დანარჩენები კი დუმხართ, თითქოს ვიღაცას ემალებით...

არადა, ომი ჯერ არ დამთავრებულა. მართალია, ავაზაკები ტყვიების ნაცვლად ჯერჯერობით მხოლოდ ფურთხს გვიშენენ, თუმცა ეს მათი კარგად აპრობირებული ტაქტიკაა – დრო მოვა და ფურთხს აუცილებლად მოაყოლებენ ქვას და ტყვიას.

ნუ მივიყვანთ საქმეს აქამდე ჩვენი დუმილით და გულგრილობით, ძვირფასო ქართველებო!

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

„ადვოკატთუხუცესი“ ზაზა ხატიაშვილი - „ნაციონალების“ ზონდერადვოკატია?

ზაზა ხატიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა წინასწარ გვამცნო, თუ ევროსასამართლოში ევა გოცირიძის კანდიდატურას წარადგენს ხელისუფლება, პირადად წავალ ევროსაბჭოში და იქ აუცილებლად გამოვაცხადებ შიმშილობას, ვაპირებ, გავაფრთხილო კვირიკაშვილი, რომ სახელმწიფო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებაო. რატომ არ „მოსწონს“ ამ ბატონს ევა გოცირიძე, ძნელი სათქმელია, მაგრამ აქვე ისიც გვაინტერესებს ზურაბ ადეიშვილის მარჯვენა ხელის, ნონა წოწორიას კანდიდატურა თუ იყო მისთვის მისაღები, როცა იგი ნაციონალებმა ევროსასამართლოში წარადგინეს, სიმართლე გითხრათ, არ გვახსოვს ხატიაშვილის და „ნანუაშვილი და კომპანიის“ პროტესტი ამასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, მათ არც ახლა აქვთ წოწორიას მიმართ პრეტენზია. მედიასაშუალებებით არაერთხელ

ლაშა კვირკვაია

გაჟღერდა, რომ „პროტესტანტებმა“ სპეციალურად ჩააგდეს იგივე გოცირიძის კანდიდატურა, რათა წოწორიას უფლებამოსილების ვადა გაგრძელებოდა ევროსასამართლოში, ნაციონალებს ძალიან ჭირდებათ იქ წოწორიას ყოფნა, რადგან „რუსთავი-2“-ის, მერაბიშვილის და სხვა „ბობოლა“ ნაცების საქმეებია განსახილველიო.

ხატიაშვილი „რუსთავი-2“-ის საქმესაც ოპერატიულად გამოეხმაურა და ბიძინა ივანიშვილს ბრალი დასდო, შუშის სასახლის ფეოდალს ტელევიზიის „ნამდვილი“ მლობელისთვის წართმევა უნდა, მოსამართლეებსა და სამოქალაქო სექტორის „ღირსეულ“ წარმომადგენლებზე ზეწოლა ხდებაო. „თავისუფალი სიტყვის“ დამცველი ხატიაშვილის მიერ გადმოფრქვეული „მარგალიტების“ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ საზოგადოება ნაციონალებთან მის მჭიდრო კავშირზე აქტიურად საუბრობს. უფრო მეტიც, ყოფილი პოლიციელი **ლაშა კვირკვაია**, რომელიც 2008-2015 წლებში მუშაობდა სამართალდამცავ სტრუქტურაში, „ადვოკატთუხუცესის“ კუდ-ის აგენტობაზეც საუბრობს. პარადოქსია ხატიაშვილის იმ კომისიის წევრობა რომელიც ვიღაცის კვალიფიკაციას ამოწმებს, რადგან თავად მისი კვალიფიკაციაა ნულს ქვემოთ, ხოლო ინტელექტუალური და ადამიანური კაპიტალი კი შანტაჟით, იაფფასიანი მუქარით, ცილისწამებითა და სიბინძურების გამოგონებით შემოიფარგლებაო. რაც შეეხება ხატიაშვილის კუდის აგენტობას, კვირკვაიას განცხადებით, იგი უშუალო კავშირში იყო თბილისის კუდის უფროსის მოადგილე გიორგი დათუკიშვილთან. თუ ტყუილს ვამბობ, რამდენიმე თვის წინაც შევთავაზე ხატიაშვილს, რომ მობილური ოპერატორიდან ამოიღოს და გაასაჯაროოს ზარების ნუსხა ვისთან ჰქონდა დარეკილი, მაშინ გაირკვევა რა ურთიერთობა ჰქონდა დათუკიშვილთანო. ხატიაშვილი ზურაბ ადეიშვილის თანაჯგუფელი და მეგობარი ყოფილა. ევროსასამართლოში წარდგენილი კანდიტატურების ჩავარდნას კვირკვაია სოციალური ქსელით გამოეხმაურა, სავარაუდოდ, ხატიაშვილმა კონკრეტული ადამიანების დავალება შეასრულა, სტრასბურგში „მაკლერივით“ გულზე ჩამოკიდებული აბრით გამოხატა პროტესტი ხსენებული კანდიდატების მიმართ, რადგან უცხო ენები არ იცის. მას შეხვედრების ორგანიზებაში ძველი პატრონები დაეხმარებოდნენ. ხატიაშვილს მინდა ვკითხო, სად იყო მაშინ, როცა ადეიშვილის მოადგილე წოწორია განწესდა სტრასბურგში მოსამართლედ, ჩავიდა სტრასბურგში და რაიმე ზომას მიმართა თუ მისმა მეგობარმა ადეიშვილმა ურჩია გაჩუმებულიყო და კუდიც იმავე აზრზე იყოო. კვირკვაიას განცხადებებს და ხატიაშვილთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციებს სოციალურ ქსელში ასე ეხმაურებიან: კარგა ხანს ხატიაშვილი ავადმყოფი და შეურაცხადი მეგონა, მაგრამ იგი თავისი ყველა საქციელით ამტკიცებს, რომ შეგნებული ბოროტი და ქვეყნის მოღალატეა... ხატიაშვილს რატომ აძლევენ ამდენი უკულმართობის უფლებას, ქვეყნის ხელისუფლებას ძინავს?... პოლიციელს რომ არ ეთქვა, ისედაც ცხადი იყო... რაც მთავარია, იგი ახლაც განაგრძობს თავის აგენტურულ საქმიანობას და პოლიციის დისკრედიტაციით, ქვეყანაში არეულობის შექმნას ცდილობს... ამ როჟას აშკარად ასდიოდა ნაცების შმორის სუნი, ზაზიტუტკა... ხატიაშვილი სწორედ ასეთი იყო, როგორადაც აღწერს ლაშა კვირკვაია, ყოველთვის ეტყობოდა სიყალბე, ამას ვგრძნობდით და ფეისბუქში ვწერდით... ხატიაშვილს ყოველთვის ეტყობოდა, რომ უფლებადამცველის გარდა ყველაფერი იყო. **ლაშა კვირკვაია** განცხადებით, ნაციონალების მმართველობის დროს ხატიაშვილი ყველა საპროტესტო აქციაში იმიტომ მონაწილეობდა, რომ ორგანიზატორ ლიდერშიფთან ახლოს ყოფილიყო და უფრო მეტი ინფორმაცია ჰქონოდა პატრონებისთვის. ყოფილი პოლიციელი ხატიაშვილის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტად არჩევაშიც ნაციონალების ხელს ხედავს. ამ არჩევნებში ნაცები ვითომ ქალბატონი ქვარცხავას კანდიდატურას უჭრდნენ მხარს, სინამდვილეში კი ხატიაშვილზე მუშაობდნენ, ქვარცხავაზე სპეციალურად დაყარეს ხმები, რომ ხელისუფლების მოწინააღმდეგე ადვოკატებს ხატიაშვილისთვის მიეცათ ხმა. ხატიაშვილი ჟურნალისტ, ხოლო შემდგომ „ქართული ოცნების“ სიით გაპარლამენტარებულ ელისო ჩაფიძის დის ქმარია. ეს ქალბატონიც ფრიად დაახლოებული გახლდათ ნაცმოძრაობასთან, მას სააკაშვილის მეგობრადაც მოიხსენიებდნენ, თუმცა შემდეგ „ოცნებაში“ გადაბარგდა. მათაც, რა თქმა უნდა, ხელგაშლილი მიიღეს, დითირამბებიც უძღვნეს და მის ტყიბულის „რჩეულად“ გახდომაშიც ლომის წილი ჩადეს. არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ნაციონალების მმართველობისას სიძის „აღზევებაში“, ჩაფიძესაც დიდი წვლილი მიუძღვის, შემდგომი ხელისუფლების პირობებში შეძლო თუ არა მან სიძის მოჭარბებული ამბიციების დაკმაყოფილება, დაზუსტებით ვერაფერს მოგახსენებთ. ცნობისთვის, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ხატიაშვილი თავიდანვე არ ჩაწერილა „პროტესტანთა“ სიაში, გარკვეული პერიოდის შემდეგ დაუპირისპირდა მოქმედ ხელისუფლებას და ისე შევიდა ეშხში, რომ ადვოკატების გარკვეულ ნაწილთან ერთად, მარტო უუნარობასა და უნიათობაში კი არა, ლამის კაციჭამიობაში დასდო ბრალი. კურიოზი ის იყო, რომ სიძე იმ ხელისუფლებას ლანძღავდა, რომელშიც მის ცოლისდას საპატიო ადგილი ეკავა. სოციალურ ქსელში ერთ-ერთმა ფეისბუქმომხმარებელმა დაწერა – უსირცხვილო ხატიაშვილს დაავიწყდა როგორ ეღრიტინებოდა „ოცნებას“ მთავარ პროკურორად დამნიშნეთო. არ დანიშნეს და გამოაჩინა ნამდვილი სახე, ამ ადეიშვილის „შნირმაო“...

მსახიობმა თემო გვალიამ ქართველ ადვოკატებს მიმართა, თავს თუ მართლა ადვოკატებად, ხალხისა და სიმართლის დამცველებად თვლით, მოიწვიეთ ადვოკატთა ყრილობა და მოიშორეთ ნაციონალების მიერ ცხრა წლის განმავლობაში ჩადენილი სისასტიკეების „გამპრავებელი“ ზაზა ხატიაშვილიო.

კარგი იქნება ადვოკატები ამ რჩევას ყურად თუ იღებენ...

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

მთავარი პროვოკატორი და სხვანი

30 მარტს ლგბტ სიმბოლოს, ცისარტყელას დროშის შემქმნელი ამერიკელი მხატვრის ჯილბერტ ბეიკერის გარდაცვალება დროულად დაემთხვა თბილისში მყოფი ტრანსგენდერების სკვერისა თუ მათი სილამაზის კონკურსის ჩაშლას და ინგა გრიგოლიამაც დრო იხელთა.

ტ რამდენიმე დღის წინ საერთო საცხოვრებელში თავს დაესხნენ ორ ტრანსგენდერ ქალს. ერთ-ერთი მათგანი არასრულწლოვანია. თემა, რომელიც ძირითადად ყვითელ თოქ-შოუებში შუქდება სინამდვილეში პოლიტიკური და სოციალურია მძიმე ისტორიებით და მძიმე ადამიანური ტრაგედიებით. აგრესიული მოწოდებები და კამპანიები ერევა უმცირესობების თავისუფლებას!“ — დასჭექა მაყურებელს გრიგოლიამ და დაიწყო პროვოკაციული ფონის შექმნა-გახურება.

რა სპექტაკლი იდგმება ხარებას, ბზობასა და აღდგომის ბრწყინვალე დღეების შუალედებში, იტყვის ვინმე?

ხარობდა (და ხარობს) ინგა გრიგოლია, არ მაინტერესებს უარყოფითი რეაქცია რომ აქვთ, რადგან რეაქცია აქვთ, მაშასადამე უყურებენ, მაღალი რეიტინგიც ამის მაჩვენებელიაო; სალანძღავ ფრაზებს თუ წაიკითხავს, იტყვის „ანტირეკლამაც რეკლამააო“...

ნეტავ, რა რეკლამა და ანტირეკლამა ჩამორეცხს იმ ჭუჭყსა და სიბინძურეს, რასაც ესვრიან? მამაკაცები რომ ტელეწამყვანის შეფასებას გარეგნობის მასხრად აგდებით დაიწყებენ, იქ დამთავრებულია „რეიტინგობანა“ — „პომადიანი ბულდოგი“ ან „პომადიანი აქლემი“ რომ გახდება მამაკაცთა „არმიისთვის“ ნებისმიერი თავმომწონე ტელე-წამყვანი, სამტრედიაში დასაბრუნებელ ბილეთს უნდა იღებდეს უკვე... დავიჯეროთ, გრიგოლიამ არ იცის, ვინც უყურებს, რატომ უყურებს მის დადგმულ პროვოკაციულ შოუებს? იცის, როგორ არ იცის, მაგრამ იხტიბარს არ იტეხს, აბა, რა გზას ეწიოს, ადამიანების ერთმანეთზე წაკიდების შეკვეთის შესრულების გარდა არაფერი ემარჯვება და სხვა რა ქნას?

მოკლედ რომ ვთქვათ, გრიგოლიას გადაცემის პათოსით, თუ საზოგადოების რისხვის შიშით „ტრანსგენდერი 2017“ სილამაზის კონკურსის ღიად ჩატარება ვერ გარისკეს ტრანსგენდერებმა და მათმა თანამეინახეებმა, საზოგადოების ტრაგედია ყოფილა; თუ სამი ტრანსგენდერი საიქიოს გზას გაუყვა თავიანთივე ნაცნობ-ახლობლების ხელით ძალადობრივი გზით ან რომელიმე ტრანსგენდერს სახლში თავისივე ნაცნობი მიუვარდა — ეს თურმე განსხვავებული ორიენტაციის ადამიანების დევნა ყოფილა...

სიძულვილის გამო ჩადენილი დანაშაულიო — ვითომ, ამხანაგი გრიგოლიას ყურამდე არ მისულა და მის ტვინამდე არ დადის, რომ ზოგადად, არა მხოლოდ საქართველოში, ტრადიციული ორიენტაციის ადამიანების მკვლელობის რიცხვობრივ მაჩვენებელთან ახლოს ვერ მივა 2-3 ტრანსგენდერის მკვლელობა, არათუ მივარდნა და ცემა, მაგრამ პროვოკატორმა პროვოკატორულად უნდა იმოქმედოს, იმეტყველოს და წარმოაჩინოს.

კაცმა რომ თქვას, კურიოზული მდგომარეობაა — სიგარეტის საზოგადებრივი თავშეყრის ადგილებში მოწევა იკრძალება, ხოლო მარიხუანის დეკრიმინალიზაცია მისაღებია სექსუალური უმცირესობების სკვერის დაკანონების ჩათვლით. კი, მაგრამ, ათა პაპადან არის თბილისში „ბლიადსკი ბაღი“, კიდევ ბევრი „ბლიადსკი“ ადგილი და ოფიციალურად, გარდაცვლილი ტრანსგენდერის სახელობის სკვერი რაღა პროვოკაციაა, თავიანთივე ლგბტ თემიდან ავტონომიად ეყოფიან?

აი, ეს საკითხები რომ არ გაარკვიოს გრიგოლიამ, როგორ შეიძლება? ისე რომ არ გამოიყვანოს, რომ საქართველოში უკან დავდევთ ტრანსგენდერებს და გზა და გზა ვხოცავთ, ვცემთ და სახლებში ვუვარდებით, განა სხვაგვარად შეუძლია? რისთვის სჭირდებოდა გადაცემის მიძღვნა ტრანსგერებისთვის, რა სასარგებლო და საჭირო ინფორმაცია მიიღო ტელემაყურებელმა?

თვითონვე აღნიშნა, მედიის ვალდებულებაა ასახოს ის, რაც რეალურად ხდებაო — და ეს ხდება რეალურად?

ღამე, კამერით რომ გაჰყვეთ, ნახავთ რა მდგომარეობაში არიან ეს ადამიანებიო. ღამის 2 საათზე ისე ჩაცმული რომ გავიდეს ზეპატიოსანი ოჯახის დედა, იმასაც აედევნებიან იაფფასიან საქონელზე ამძუვნებული მამრები, არათუ გაუგებრობა მოხდეს თუ ქალის ნაცვლად მამაკაცი შერჩება ხელში და რას პროვოკატორობს ან გრიგოლია, ან სხვანი, ე.წ რაღაცის დამცვლები?

რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ეთერიდან გაიქცა, მას კიდევ ორნი მიჰყვნენ ინტერვალებით, რაზეც გაოცება გამოხატა გრიგოლიამ, მაგრამ ეს არც მისი „დამსახურება“ იყო და არც სხვისი, ამგვარ შოუებისთვის უწვრთნელები იყვნენ და პირდაპირი ეთერი ვერ გაქაჩეს...

გრიგოლიას თავისი საქმე ჰქონდა, საქართველოს მოქალაქეები პოლიციასთან და სასამართლოსთან ერთად ცალსახად უნდა დაედანაშაულებინა მიუხედავად თავისივე გადაცემის მაყურებლის შეხედულებისა რაც ინტერაქტივის პროცენტული მაჩვენებლით ჩანდა. (თვლით თუ არა რომ საქართველოში დაცულია ტრანსგენდერთა უფლებები? 70% — დიახ; 30 % — არა)

გრიგოლიას ჩასაძიებელი ჰყავდა ნატალია მაჭარაშვილი, ტრანსგენდერი, მათი კონკურსის 2016 წლის გამარჯვებული: — 27-ში დამხვდნენ, ძალიან მცემეს, სახლშიც შემომივარდნენ, დამილეწეს ჭურჭელი. ამიტომ გადავწყვიტეთ რომ აღარ ყოფილიყო 31-ში.

— ანუ გითხრეს რატომ?

— დიახ. გაგისტუმრებთ სადაც არიან საბი, ბიანკაო და ამიტომ გადავწყვიტეთ რომ აღარ ყოფილიყო ჰომოფობია, გაგვეუქმებია ეს კონკურსი.

— ანუ იყო იმის საფრთხე, ფიზიკური ანგარიშსწორება მომხდარიყო თქვენზე?

— კი, რა თქმა უნდა

— როცა შემოგივარდნენ, პოლიციას მიმართეთ?

— არ მიმიმართია.

— რატომ?

— იმიტომ რომ ერთ-ერთი იყო ნაცნობი ადამიანი, ამის გამო არ მივმართე პოლიციას, მაგრამ მე ვაპირებ დღეიდან პირადად შევიტანო სარჩელი და მყავს ადვოკატები, რომლებიც დამეხმარებიან ამ საქმეში.

— რატომ არ მიმართეთ მაშინვე პოლიციას?

— იმიტომ რომ იმ მომენტში ვიყავი აღელვებული, არ მყავდა გვერდში არავინ, ამიტომ გადავწყვიტე მეთქვა ჯერ მეგობრებისთვის, ყველასთვის და ველოდებოდი ამ გადაცემასაც.

— აჰა, ანუ ამ გადაცემის მერე აპირებთ თქვენ რომ შეიტანოთ სარჩელი პოლიციაში.“

რას ეძიებოდა ასე გულდაგულ გრიგოლია, ამდენი „ანუ“ რატომ სჭირდებოდა, მოკლე თვალსაწიერის ტრანსგენდერ პირს რატომ აგლეჯდა „პლასკაგუფცით“ (ბრტყელტუჩათი) ფრაზებს?

როცა სახლში ვინმეს უვარდებიან, ეს ხულიგნობაა, სისხლის სამართლის საქმე და სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას თავისი მოქალაქე, რა ხაზგასმა უნდა რომ ტრანსგენდერია...

დასაქმების პრობლემა ჰქონიათ ტრანსგენდერებს, ქობულეთში გვითხრეს, წადით თქვე უბედურებო, რას ჰგავხართ, თავი მოიკალითო. ტრანსგენდერებს ჰქონიათ დასაქმების პრობლემა, დანარჩენი, ყველა დასაქმებული ყოფილა!...

ხალხს კვლავ გაუჩნდა კითხვანარევი ეჭვი: — „სანატრელი ე.წ დასავლეთი“ რატომ „გვიგდებს“ პირში გადასაყლაპად იმას, რასაც თვით არ გეახლებათო? — პასუხი არ ჩანს!

რა მოხდა, რა სახის „სექსუალური რევოლუცია“ ატყდა საქართველოში მთლად კარგად ვერ დააწმინდავებს კაცი, მაგრამ რაც ხელისგულზეა, ხომ არის? — თვალსა და ხელსშუა, ელვისებური სისწრაფით ჩამოყალიბდა

ახალი „თემი“, რომლის ანალოგი მართლაცდა, რომ არ ყოფილა — „ჩემი ფუჩუ ჩემია!“ „ბოზობის გამპრავებელთა საზოგადოება“, „სექსთაყვანმცემლები“, „რასაცა გასცემ შენია“ ა.შ

ხუმრობა იქით იყოს და, საფუძვლიანია ხალხის მიერ დასმული შეკითხვა: რა განსხვავებაა ლგბტ თემსა და ამ ახალ „ახურუშებულ თემს“ შორისო? — ფაქტობრივად, არაფერი...

ყველა თავის „საოხრის“ ჭკუაზე მოსიარულე ყოფილა და „ვაი, სექსისგან“ დამართნია რაც დამართნია და თავისთავად სახელმწიფოზეც გადასულა...

ვიღაც რომ გკითხავს, როგორ ხარო, რა ნამუსით უნდა უთხრა რომ კარგად ხარ? ბოლო-ბოლო, კარგად როგორ უნდა იყო, როცა ქალს და კაცს ვეღარ არჩევ არა მხოლოდ ვიზუალურად, მეტყველებითაც კი, მითუმეტეს, თუ ოდნავ შებინდებულია...

გაცვეთილი ფრაზა „ჟურნალისტს სქესი არ აქვს“ ხალხის მიერ გადაკეთდა და ახლა, სქესთან ერთად „ჟურნალისტს ნამუსი“ არ აქვს!...

„გქონდეთ თქვენი რეაქცია!“ — კვირიდან კვირამდე დაგვძახის სარეკლამო გაჭრებიდან ინგა გრიგოლია. ცხადია, ხალხს აქვს კიდეც რეაქცია, მაგრამ საინტერესოა, იცის თუ არა ინგამ როგორი რეაქცია აქვს მისი გადაცემის მაყურებელს? თუ არ იცის — უი! თუ იცის და ფეხზე ჰკიდია — ვაი! არის მესამე ვარიანტიც, ინგას საქართველო მხოლოდ მის მიერ სპეციალურად შერჩეულ-შეკრებილი აუდიტორია ჰგონია, ამასობაში ე.წ ფეისბუქმომხმარებლები კი ასკვნიან, რომ ინგა გრიგოლია (ისევე როგორც ბევრი სხვა ჟურნალისტი) „ნაცმოძრაობის“ ანასხლეტი პროვოკატორი დესანტია ჟურნალისტის ამპლუაში.

„აუცილებელი და სასწრაფოა აქციები ვიდრე არ ჩამოაშორებენ ეკრანს ძუკნა გრიგოლიას, რადგან ეს უკანასკნელი „გნაც კრიმინალური ხროვის“ ქვეყნისთვის დამღუპველი პროპაგანდის რეაბილიტირებას ახდენს.“

„ინგა გრიგოლია არის „მიშნაცების“ ნომრიანი აგენტი ქართულ მედიაში!!! ეს სამტრედიელი კონკია მიზანმიმართულად ეწევა ნაცების რეაბილიტაცია-რეანიმაციას!

სირცხვილია, რომ ინგა ვინმეს მაგარი ჟურნალისტი ჰგონია! ის ჩვეულებრივი პოლიტიკური (და არა მხოლოდ) კახპაა, რისთვისაც მსუყედ უხდიდნენ და დღესაც უხდიან ნაციონალები!“

„ფულის გამო ყველაფერი როგორ უნდა იკადრო ჟურნალისტმა!“ და ა.შ

ცალკეულ ჟურნალისტებს, შეიძლება, მართლაც ჰგონიათ, რომ თუ სტუდიაში მიწვეული სტუმრები ერთმანეთს გინებას დაუწყებენ ან თავ-პირს დაალეწენ, გადაცემა შედგა და გადაცემის რეიტინგი სიმბოლურ სინდიყის სვეტს ხეთქავს, მაგრამ საინტერესოა, მართლა ჰგონია გრიგოლია ინგას, რომ ვთქვათ, ტყუპისცალებივით გადამეორებული ასო-ები ის ავტორიტეტები არიან, რომელთაც დაწყებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაზე, დამთავრებული ყველაფრით, აზრი უნდა ჰკითხოს კაცმა?

როდესაც ცნება „სირცხვილი“ გამიზნულად მოსპეს, მასმედია კი ხილულ დანმაშავედ ადგას თავზე სრულიად საქართველოს, იმის შიში, რომ ვიღაც საიდანღაც დატუქსავს ხელისუფლებას, სწორედაც რომ სამარცხვინოა.

ჟურნალისტის წოდება არ ათავისუფლებს ჟურნალისტს დანაშაულის სიმძიმისგან! საინტერესოა, როდესაც საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაცია-დეზინფორმაციულ ნაზავზე აგებს საკუთარ ჟურნალისტურ კარიერას ჟურნალისტი, ელემენტარული პასუხი არ უნდა მოეთხოვოს მას და მის უშუალო ხელმძღვანელობას?

არცთუ დიდი ხნის წინ მეზობელ თურქეთში 15-მდე ჟურნალისტი პასუხგებაში მიეცა, რადგან მათი საქმიანობა შეფასდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. საქართველოში რომ იგივე სიმკაცრე გამოეჩინა ვინმეს, ხომ დავრჩებოდით მედიის გარეშე?

გიორგი ჩხეიძე

საქართველო უვარგისი პროდუქციის ნაგავსაყრელად არ უნდა იქცეს!

დღეს იმპორტირებული პროდუქციით გადავსებულ დახლებზე ქართული პროდუქცია სანთლით საძებარია. სპეციალისტების შეფასებით, ბაზრებზე გამოტანილი ხილის მხოლოდ 30%-ია ქართული, დანარჩენი კი თურქეთიდან, ირანიდან, პოლონეთიდან, საბერძნეთიდან და ესპანეთიდან შემოტანილი ხილია.

ბოსტნეულის სექციები ძირითადად, თურქეთიდან, ირანიდან და სომხეთიდან შემოტანილი პროდუქციით ვაჭრობენ - კარტოფილი, პომიდორი და ლობიო ძირითადად, თურქულია, ნიორი უმეტესად, ჩინური გახლავთ, სტაფილო ირანული. გამორჩეული არომატის მქონე ქართული სუნელ-სანელებლები ინდურმა სუნელებმა ჩაანაცვლა, ქართული მანდარინი ეგვიპტურმა, რომელსაც მიმზიდველი ფერი რომ ჰქონდეს, პარაფინს უსვამენ და ა.შ. ფაქტია, რომ ქართულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დეფიციტია.

თურქულ ბოსტნეულში კი, რომლითაც ქართული ბაზარი სავსეა, პესტიციდების რაოდენობა დასაშვებ ნორმას ათჯერ აღემატება. სწორედ ამის გამო, თურქული ბოსტნეულის შეტანა დიდი ხნის წინ აიკრძალა აზერბაიჯანში, უკრაინაში და ბელარუსიაში.

სურსათის ექსპერტთა ასოციაციის ხელმძღვანელი დალი ფულაია ამბობს, რომ ბაზარზე ქართული პროდუქციის შემცირება ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისთვის გაზრდილ რისკებს ნიშნავს და ამაზე სახელმიფომ სერიოზულად უნდა იფიქროს:

— პირველ რიგში გეტყვით, რომ ქართული პროდუქცია ნამდვილად უნდა იყოს ქართულ ბაზარზე. ადგილობრივი პროდუქციის შემცირება ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სექტორის უკუსვლას ნიშნავს, ამიტომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას და დოტაციებით ან სხვა მექანიზმებით მოახერხოს, რომ გლეხი ბაზარზე პროდუქციის გამოტანით დაინტერესოს. ვფიქრობ, სახელმწიფო მეტად უნდა იცავდეს საკუთარ ბაზარს.

— ცნობილია, რომ საქართველოში ონკოლოგია დაავადებებს შორის მესამე ადგილზეა. როგორ ფიქრობთ, ეს შემთხვევითია?

—კვების პროდუქტები ისაა, რასაც დაბადებიდან სიკვდილამდე ვღებულობთ, შესაბამისად, ადამიანის ჯანმრთელობას 65-70% სწორედ კვების პროდუქტები განაპირობებენ. საკვებიდან ვღებულობთ ძირითად ნივთიერებებს, რომლებმაც შეიძლება ჩვენს ორგანიზმზე დადებითად ან უარყოფითად იმოქმედონ, ამიტომ სასურსათო უვნებლობის ფაქტორს უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს. მნიშვნელოვანია, როგორი პროდუქცია შემოდის, რამდენად მოწმდება და ა.შ. თუმცა, ამ შემთხვევაში საქმე მხოლოდ სურსათის უვნებლობას კი არა, სასურსათო უსაფრთხოებასაც ეხება. თუ ჩვენი აგროკომპლექსი მოიშალა და მთლიანად შემოტანილ პროდუქციაზე დამოკიდებული გავხდით, ეს ჩვენს სასურსათო უსაფრთხოებას სერიოზული რისკების წინაშე დააყენებს.

რამდენად დაცულები ვართ გმო შემცველი იმპორტირებული პროდუქციისგან და რამ განაპირობა ბაზარზე ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტების დეფიციტი? ამ კითხვებით „მრეწველების“ ლიდერს გოგი თოფაძეს მივმართეთ:

გოგი თოფაძე

— იყო დრო, როცა საქართველოში ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობდა, მაგრამ წარმატებული სოფლის მეურნეობა გვქონდა, საჭირო პროდუქცია ადგილზე მოგვყავდა და თითქმის არაფერი შემოგვქონდა. პირიქით,სხვა ქვეყნებში გაგვქონდა. ჩვენი უბედურება 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, როცა საქართველოს მსოფლიო ბანკის, სავალუტო ფონდის და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მრჩეველები მოაწყდნენ. ესენი იყვნენ პრაგმატული ადამიანები, რომლებიც ჩვენს პატარა ქვეყანას თავიანთი ინტერესების პრიზმიდან ხედავდნენ. მახსოვს, რამდენს ვეკამათებოდით ხალხს, რომელიც გვიმტკიცებდა, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებს ჩამოვრჩით, ამიტომ სოფლის მეურნეობასა და წარმოებაზე არ უნდა ვიოცნებოთ და მხოლოდ სატრანსპორტო კორიდორის ფუნქციას დავჯერდეთ. იმდროინდელი ხელისუფლება ამ სატყუარას წამოეგო და ჯერ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანდა და უხარისხო პროდუქციის საქართველოში შემოტანას დათანხმდა, შემდეგ კი სურსათის ხარისხის მაკონტროლებელი ლაბორატორიები გააუქმა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იმისთვის გაკეთდა, რომ იმპორტირებული პროდუქციისთვის სასათბურე პირობები შეექმნათ და ადგილობრივი სოფლის მეურნეობა და წარმოება „მოეკლათ“, რაც მოხდა კიდეც.

სოფელი, ქართული წარმოება და ქართული ეკონომიკა. რაში გვჭირდებოდა ხაზვის, ნიორის და კარტოფილის შემოტანა, ჩვენი არ გვქონდა? ან იმპორტული ხილი რად გვინდა, როცა ორგანოლეპტიკური თვისებებით ჩვენსას ვერც ერთი შეედრება?

სასიხარულოა, რომ ბოლო წლებში ხელისუფლებამ და მთავრობამ მდგომარეობიდან გამოსვლისთვის ბევრი კარგი პროექტი განახორციელა, მაგრამ ადვილი არაა 25 წლის მანძილზე დანგრეულის ხუთ წელიადში აღდგენა.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რომელ პროექტებს გულისხმობთ?

— იმის დაუნახაობა, რაც ბოლო 5 წლის მანძილზესოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში გაკეთდა, არ შეიძლება. რომელი ერთი ჩამოვთვალო: ამოქმედდა მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი, საიდანაც 800 000-მდე გლეხმა 300 მილიონ ლარზე მეტის დახმარება მიიღო, დამუშავდა 800 000 ჰექტარზე მეტი მიწა, ფერმერებს უსასყიდლოდ დაურიგდათ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, დაფინანსდა 150 ახალი საწარმოს შექმნა, შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში გაიცა უამრავი სესხი, ამოქმედდა აგროდაზღვევის პროგრამა, ამოქმედდა გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროგრამა, დაიწყო ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა, შემუშავდა სოფლის მეურნეობის განვითარების ახალი პროგრამები: თხილის წარმოების განვითარება, მეფუტკრეობის მხარდაჭერა და ა.შ. ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ასე, რომ სახელმწიფოს სწორი კურსი აქვს აღებული და მომავალში იმაზე მეტი გაკეთდება, ვიდრე აქამდე კეთდებოდა, უბრალოდ, ძალიან ბევრი დრო დავკარგეთ. ამასობაში სოფლები დაიცალა, გლეხი ოჯახის სარჩენად თბილისში ტაქსაობს და ქალაქში მოძრაობა შეუძლებელი გახდა. ეს იმის შედეგია, რომ 20 წლის წინ იმ ვაი-მრჩევლებს დავუჯერეთ და გავანადგურეთ საქართველოს წარმოება და ეკონომიკა. სამკერვალი ფაბრიკები გვქონდა და რეაქტიულ თვითმფინავებს ვაკეთებდით და ახლა ჩაიდანიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს, ამიტომ მეტი შრომა და მოთმინება გვჭირდება მდგომარეობიდან გამოსასვლელად. ვიმეორებ, 5 წელიწადში იმის აღდგენა, რასაც 25 წელი ანგრევდნენ, შეუძლებელია.

დალი ფულაია

ნელი თორდია
571 35 36 88

ნანუკა და „საკაიფო“ ქვეყნის „საკაიფო“ ამბები

ყველაფერს აქვს ზღვარი, უნამუსობას - არა!

ნაციონალების დაკრულზე მოცეკვავე, კაცმაცუნა კოდუას (რომელიც 0,00005 გრ. „წამალზე“ ხალხს 25 წლიან „სროკზე“ უშვებდა) ცოლყოფილი ნანუკა ჟორჟოლიანი, რომელსაც მისმა ხოტბის საგნებმა - ნაციონალებმა არ დაინდეს და ძმა რამდენჯერმე დაუკავეს, მათ შორის დიდი რაოდენობის „პლანის“ გადატანა-გასაღების ბრალდებით, უპირველესი მარიხუანას პროპაგანდის საქმეში „ორატორი“ გამოდგა და ეს არცაა გასაკვირი. მის საახლობლოში ზედიზედ ორ ადამიანს ვერ იპოვით, რომელიც „კაიფზე“ უარს ამბობს! რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, კოდუას ნაცოლარს პასუხს არავინ სთხოვს, პირიქით, ტაშს უკრავენ.

გასულ ოთხშაბათს, ნანუკას და მისი მორიგი მარაზმის ე.წ. შოუს მისამართით სოციალურ ქსელში გინების და ლანძღვის საგანი გახდა. ამ კორიანტელმა მაიძულა „ნანუკას შოუ“ მენახა და სოციალური ქსელის „აფეთქების“მიზეზი გამეგო. შოუს პირველ სტუმარს რომელსაც მისი თქმით პოლიცია

უთვალთვალებდა ანონიმური განცხადების საფუძველზე, შემდეგ სახლი გაუჩხრიკეს თითქოს იარაღს ეძებდნენ, მაგრამ სავარაუდოდ ქოთანში ჩარგული საცოდავი მარიხუანას „გაუხარელი“ფესვი იპოვნეს და „გირჩის“პირდაპირ ეთერში პლანის კულტივაციის რეკლამირებამ გადაარჩინა, აღშფოთებული უსმენდა ნანული, თითქოს მისი საყვარელი ბელადის და ქმარყოფილის ზეობის ხანაში არ ყოფილიყო ეგ ბოლშევიკური კანონი მიღებული. კერძოდ 2005- წლის დეკემბერში. (სსს კოდექსის 263-ე მუხლის მეორე ნაწილი) თუ ადრე ანონიმური ცნობები არ წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საბაბს და ასეთი ცნობები მხოლოდ მოწმდებოდა, ზარზეიმით მიღებული კანონის საფუძველზე გამომძიებელი და პროკურორი უფლებამოსილია დაიწყოს წინასწარი გამოძიება. სამარცხვინო ფაქტია, რომ აღნიშნული კანონი „პერესტროიკის“ დროს გაუქმდა და მიხეილის ხანაში პოლიტიკური მოწინააღმდეგეების, ბიზმესმენების და სხვების გასანადგურებლად ესოდენ საეჭვო კანონი მიიღეს. სხვათაშორის მსოფლიო კანონშემოქნედებითი პრაქტიკა, შეიძლება ითქვას, არ იცნობს ქვეყანას, რომელიც ასე ხშირად და გაუაზრებლად ახდენდა საკანონმდებლო ბაზის რადიკალურ ცვლილებებს როგორც ჩვენს ქვეყანაში მოხდა 2003 წლიდან 2012 წლის ჩათვლით. თუმცა აღნიშნულის გახსენება ნანულის არ სურს რადგან სისხლის და ძალადობის მოყვარე ტურა, პირველი გარბოდა ნაცხროვის უდანაშაულოდ ჩახოცილი და შემდეგ დამნაშავეებად გამოცხადებულ ახალგაზრდებზე რეპორტაჟის გადასაღებად. სწორედ მისი მეუღლედყოფილის დაბადების დღის ბოლოს განხორციელებული ზარის გამო მოხდა სამი სვანი ახალგაზრდის წამება, ნარკოტიკის ძალით გაკეთება და შემდეგ „ჩადება“. რა გადაიტანა იმ სამმა ახალგაზრდამ და მათმა ახლობლებმა ძნელი მისახვედრი არ არის... მთავარია, რომ ჟორჟოლიანს აღარ ახსოვს. არც ის ახსოვს, სწორედ ნარკოტიკის ჩადებით როგორ ახევდა მისი ქმარყოფილი ბიზმესმენებს და არა მარტო, კონსტიტუციით დაცულ კერძო საკუთრებას. როგორ დაჰქროდა ნაყაჩაღარი ავტომანქანით და მავანს უმტკიცებდა თითქოს კანონიერი გზით ჰქონდა შეძენილი. არც ის ახსოვს ვანო მერაბიშვილი რატომ უკვეთავდა მის მეუღლეს ორ გვამს ან უკეთეს შემთხვევაში პარლამენტის წევრის სასტიკად ცემას (და არა მარტო). სწორედ კოდუას დაუკვეთეს უმძიმესი ბრალდებით გია გვიჩიანის დაკავებაც. რა ჯოჯოხეთი გაიარეს სამართლის ძებნაში უდანაშაულოდ დაკავებულებმა და მათმა ოჯახის წევრებმა ჟორჟოლიანის ინტერესში ამის ცოდნა არ შედის. სამაგიეროდ ხშირად იხსენებს თავის ძმის დაკავებას რომელიც „ნაცკლანური“ დაპირისპირების შედეგად მოხდა თორემ ისედაც ცნობილი გახლდათ ის ფაქტი, რომ მისი ოჯახის არაერთი წევრი მოიხმარდა ნარკოტიკს. თუმცა მისი ძმისთვის არც ქონება წაურთმევიათ და არც ცემა, წამებით გამოუძალავთ ჩვენება. უფრო მეტიც, სანამ მეორედ დააკავებდნენ, (2010-წელს)მიხეილ ჟორჟოლიანმა საქართველოს საზღვარი სასამართლოს ნებართვის გარეშე ორჯერ გადაკვეთა, რასაც სამართლებრივი რეაგირება არ მოჰყოლია. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მეორედ გაათავისუფლეს გირაოს სანაცვლოდ, მაშინ, როცა პირველი პროცესი ჯერ არ იყო გამართული და სასჯელის ვადა დადგენილი, ანუ პირველ ფაქტზე გამამართლებული, ან გამამტყუნებული განაჩენი არ იყო დამდგარი. სხვებს, ჩვეულებრივ მოკვდავებს, მსგავს შემთხვევაში, ციხეში ჩაალპობდნენ, ნანუკას ძმა კი „სრულიად სამართლიანად“ შეეცოდათ და სასამართლომ თურმე მისი მეუღლის ფეხმძიმობა გაითვალისწინა.

ნაციონალური მოძრაობა, კრიმინალური ხელისუფლება გახლდათ და ნარკოტიკების ჩადებით ბიზნესის წართმევა ერთ-ერთ, საკმაოდ ცნობილ სქემას წარმოადგენდა და აღნიშნული სქემის სათავეში, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის მაშინდელი უფროსი, ერეკლე კოდუა ხელმძღვანელობდა. ნაციონალური მოძრაობის ყველა მაღალჩინოსანს, ბიზნესის წართმევის საკუთარი ხელწერა ჰქონდა, ერეკლე კოდუა ნარკოტიკების ჩადებით გამოირჩეოდა, ზოგი მაღალჩინოსანი ბიზნესმენის სახლში, ან მანქანაში იარაღს დებდა და ასე შემდეგ. ფაქტია რომ მხოლოდ კოდუა, ამდენს ვერ გაბედავდა. ქვეყნის ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ყველა ამგვარი შემთხვევის საქმის კურსში იყო და კოდუა, სწორედ სააკაშვილთან და მერაბიშვილთან ერთად იყო ნაცკრიმინალურ ფერხულში ჩაბმული. ნანუკა და მისი მრევლი მაშინ დუმდა, არც უსამართლობის განცდა აწუხებდათ და არც ნაცხროვის მიერ ჩახოცილი უდანაშაულო ბიჭების წართმეული სიცოცხლე. თითქოს ყველაფერმა უკვალოდ ჩაიარა და ეხლა იმ ადამიანების დარდი აქვს რომლებიც ნარკოტიკების მოხმარების გამო ისჯებიან. არ მოსწონს კლუბური ნარკოტიკის მოხმარებაზე არსებული სანქცია და მკვლელობის, ყაჩაღობის და სხვა მძიმე დანაშაულის სანქციასთან ახდენს შედარებას. სანამ ამ უტიფარ ქალთან არ დაიჩოქა აქლემმა მანამდე პრობლემა არ იყო მისთვის აქტუალური. სხვათაშორის პროტესტი არ გამოუთქვამს იმ ქვეყნების მიმართ საიდანაც ეგრედწოდებული კლუბური ნარკოტიკი შემოდის, ან ბიო. არადა სწორედ ეს ნარკოტიკები იწვევენ ბევრად უფრო შეუქცევად პროცესებს ადამიანის ორგანიზმში ვიდრე ოპიუმი და ჰეროინი. თუმცა ეს, ნანუკას არ აინტერესებს. არც ის, რომ სწორედ მისი ქმარყოფილი კურირებდა ნარკოტრასებს წინა ხელისუფლების ზეობის პერიოდში და სხვა თანამშრომლებთან ერთად არც ნარკოტიკის მოხმარებაზე ამბობდა უარს. ნარკოტიკების რეალიზაციის „დაკრიშვის“ ფაქტზეც არაერთხელ ამხილეს ყოფილმა თანამშრომლებმა. არაერთი მისი რეკომენდაციით დანიშნული ხელმძღვანელი (ნარკომანიის უფროსი) მოიხმარდა ნარკოტიკს და შსს გენერალური ინსპექციის რისხვას გადაარჩინა და თანამდებობაც შეუნარჩუნა. მისი ყოფილი ერთი მოადგილე „კაიფში გაიპარა“ და მეორეს დღემდე ჟღვლინტი ჩამოდის. დიდი ფული იშოვნა კოდუამ როგორც ნარკოტიკების რეალიზაციით ასევე სხვისი ქონების მითვისებით, მაგრამ ვერც ნანუკამ და ვერც ირაკლიმ გოიმის სტატუსი ვერ მოიშორეს... გასულ ოთხშაბათს, ნანულის შოუში მონაწილეობის მიღებაზე უარი უთხრა არაერთმა მისი „ნაქმარევის“მიერ დაკავებულმა და უმოწყალოდ „გაპარსულმა“ ყოფილმა პატიმარმა რომლებიც გაოცებას ვერ მალავდნენ „მიპატიჟების“ გამო. გამოდის, რომ ჟორჟოლიანს სურვილი გაუჩნდა კოდუა მის შოუში ამხილონ? ნუ, რა კეთილი გულის, სამართლიანი გოგო გამხდარა სისხლის და ოქროს მოყვარული არსება...

შოუს სტუმრობდა პრეზიდენტის ქალიშვილიც, რომელიც აღშფოთებას ვერ მალავდა, რომ პრეზიდენტის ოჯახს და მათ სამეგობროს განსხვავებული აზრის გამო დევნიან. წინა ხელისუფლების დროსაც არაერთხელ დაკავებულ პრეზიდენტის „ახლო გარემოცვას“ თითქმის იგივე პრობლემები აქვს არსებული ხელისუფლების დროსაც, სარწმუნო წყაროს ცნობით კიდევ უარესი პრობლემები ჰქონდათ 2003 წლამდეც... სხვათაშორის შალვა ნათელაშვილი განსაკუთრებული მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა როგორც წინა ასევე არსებულ ხელისუფალთა მიმართ, რაღაც არ მახსენდება მისი ოჯახის წევრს ან სამეგობრო წრეს „დევნა-ჩადებაზე“ პრეტენზია გამოეთქვას. რატომ არ ხორციელდება ზეწოლა მის შვილზე? პასუხი მარტივია-მისი შვილი და არც მისი მეგობრები ნარკოტიკთან არ მეგობრობენ და არც ცივ-ცხელ იარაღს ატრიალებენ...

ერეკლე კოდუას ხროვა, მეგობარი-მეგობარს ნარკოტიკზე თუ „დაპატიჟებდა“ ან ნათესავი ნათესავს, რეალიზატორად ნათლავდა და სასამართლოსაც აიძულებდა ბოლომდე, რეალიზაციის ბრალდებით გამოეტანა განაჩენი. აღნიშნული ქმედებით ერეკლე, ოჯახური ბიზნესის კუდებს მალავდა, თუმცა ბოლომდე მაინც არაფერი იმალება, იქნებ სწორედ იმიტომ გამოასალმეს სიცოცხლეს გია თელიაც, რადგან მან გაბედა და ხმამაღლა, პირველმა ამხილა ნარკომანი და რეალიზატორი კოდუას მოღვაწეობა? 2012 წლის შემდგომ „სოდის“ თანამშრომლებმაც დაიწყეს მხილება...თუმცა „ოჯახმა“ ყველაფერი შეირგო, „მოურავი“ ჯერ-ჯერობით სიტყვას ასრულებს ნარკოტიკებით და იარაღით მოვაჭრე ორ კრიმინალს ევროპაში ალივლივებს. მათ ოჯახებსაც დიდად არავინ აწუხებს საქართველოში, მაგრამ ჯერჯერობით. დრო ყველაფერს ცვლის, ერთ მშვენიერ დღეს ყველა და ყველაფერი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდება...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

სოსო მანჯავიძე:

რეალურად, ქვეყანაში პრეზიდენტი არ გვყავს...

გვესაუბრება თბილისის საკრებულოს დეპუტატი, ბატონი სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, როგორ მოგეწონათ პრეზიდენტის ანგარიში?

— ის დღის წესრიგი, რაც მან დააყენა, ფაქტობრივად, წარსულში გვაბრუნებს — დემოკრატია, ლიბერალური ღირებულებები, სხვა აბსტრაქტული ტერმინები დღეს საქართველოში აღარავის აღარ აინტერესებს. ხალხს აინტერესებს განვითარება, ეკონომიკის გაძლიერება, ეროვნული ინტერესების დაცვა, პრეზიდენტი კი ნეოლიბერალური ლოზუნგებით გამოდის. იგი მუდმივად, თავის მოკავშირეებთან ერთად, ცდილობს დაასუსტოს სახელმწიფო. ცხადია, მოსმენების შესახებ კანონი შეიძლება არ იყო იდეალური, მაგრამ პრეზიდენტის მოსაზრებები ამის შესახებ მიმართული იყო იქითკენ, რომ სახელმწიფოს არავითარი ბერკეტი არ ჰქონდეს და ყველაფერი გადავიდეს ნჯო სექტორის ე. წ. საერთაშორისო ძალების ხელში, რომ სახელმწიფო ვერ შედგეს.

ეს არის ჩვენი ტრაგედია, იმ გეოპოლიტიკურ რეალობაში, როგორშიც ვცხოვრობთ დღეს.

რაც შეეხება ჩვენი პარლამენტის დეპუტატების პოლიტიკურ პოტენციალს. პირდაპირ ვიტყვი, ძალიან ცოტაა იქ ადამიანები, რომლებიც პოლიტიკურად აზროვნებენ... არ აქვთ პოლიტიკური გამოცდილება და, შესაბამისად, პოლიტიკურად არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებენ. ეს მათგან არც არის გასაკვირი. სხვას არაფერს მოველოდით. პარლამენტი, ისევე, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობა, პრეზიდენტის ჩათვლით, არ მუშაობს.

— ისეთი მემკვიდრეობიდან მოვიდა ჩვენი ხელისუფლება, უკეთესი რა შეიძლებოდა ყოფილიყო?

— გასაგებია, მაგრამ ტენდენციებს ვერ ვხედავთ. ტენდენციები არ არსებობს.

ერთი კახური ანდაზა მახსენდება — ვირს რქები არ ამოსდიოდა და ბოჩოლას ეძახდნენო. ვიძახოთ, ახლადფეხადგმული ვართ, პატარა ვართო, ეს ჩვენს საქმეს ვერ უშველის.

— ზემოთ მძიმე პოლიტიკური გარემოცვა ახსენეთ, მაგრამ შიდა პოლიტიკური გარემო უფრო ჭრელია. ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში რეფერენდუმი ჩატარდა. აფხაზეთში — გალის მოსახლეობას დროებით პასპორტებს ურიგებენ — ანექსია რუსეთმა, ფაქტობრივად, დააკანონა. პარლამენტის დეპუტატი ადა მარშანია კი ამბობს, რომ აფხაზეთში 80% სომეხი ცხოვრობს, ჩვენ მათ უნდა დაველაპარაკოთო. ბოლოს და ბოლოს, ვის დაველაპარაკოთ — სომხებს, რუსებს თუ ერთმანეთს?

— საქმე რაშია, იცით? ჩვენ ვერავის ვერ დაველაპარაკებით, რადგან ჩვენ არ ვარსებობთ, როგორც პოლიტიკური ნების და სახელმწიფო ინტერესების დამცველი სახელმწიფო.

ჯერ ერთი, სომხებს და რუსებს იმიტომ ვერ დაველაპარაკებით, რომ ეს არის სომხების და რუსების დაზვერვის ინსპირაცია და ვინც ამას ვერ ხვდება, მან პოლიტიკის ანბანიც კი არ იცის.

ჩვენ რუსული, ამერიკული თუ ევროპული დაზვერვის ინტერესებს ვახორციელებთ. სომხებმა მშვენივრად იცან, რომ მათთვის სასიცოცხლო ინტერესია საქართველოზე პოლიტიკური კონტროლი იმ ვითარებში, როცა სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან დაპირისპირებულნი თურქებთან და აზერბაიჯანელებთან. ჩვენ, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, რომელიც თავის თავს იცავს, არ ვარსებობთ.

ქვეყანაში კი პრეზიდენტი, რეალურად, არ გვყავს, პრემიერ-მინისტრი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიმღები ვერ იქნება. არამდგრად პოლიტიკურ სიტუაციაში ესეც არის პრობლემა.

რუსეთს არ სჭირდება ჩვენთან მოლაპარაკება. მას მოლაპარაკება რომ უნდოდეს, სხვანაირად მოიქცეოდა. ის თავის პოლიტიკურ ინტერესებს შეუფერხებლად ახორციელებს საქართველოში. ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ არავინ იყოს მასთან მომლაპარაკებელი. რუსეთს აწყობს, რაც ხდება აქ.

— სამწუხაროა, რომ წლები გადის და არაფერი იცვლება.

— არაფერი არ შეიცვლება, სანამ ჩვენი პოლიტიკური მექანიზმი არ შეიცვლება.

დააკვირდით, რაც ხდება, იმაზე არავინ ლაპარაკობს, არის უაზრო ლაყბობა — აშენებენ საპარლამენტო რესპუბლიკას, იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს პოლიტიკური პარტიები. სად გინახავთ საპარლამენტო რესპუბლიკა ჩამოყალიბებული პარტიული სისტემების გარეშე.

მიმაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის ქვეყანა.

აქ, ცხადია, არ ვგულისხმობ მარგველაშვილს. სამწუხაროდ, სააკაშვილის მიერ შექმნილი საკონსტიტუციო მოდელის შესაბამისად ავამოქმედეთ პრეზიდენტის ინსტიტუტი. გამოჩნდა მარგველაშვილი და მივიღეთ ის, რაც სახეზეა, მაგრამ ის, რომ მარგველაშვილი არის ისეთი, როგორიც არის, არ ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში საპრეზიდენტო მოდელი არ უნდა იყოს.

ხომ უნდა ვხედავდეთ, რეალურად, რაც ხდება ჩვენს გარშემო. პრეზიდენტის და პრემიერის ქიშპობა გაიხსენეთ, არა მე მივდივარ გაეროში და არა — მეო, ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება.

ახლა საუბარია, რომ, შეიძლება, კვირიკაშვილი შეიცვალოს, მაგრამ მერე, რა. მაინც არაფერი შეიცვლება. შევხედოთ გარემოს, არავინ აღგვიქვამს სერიოზულად. ჩვენ ძლიერი მმართველი უნდა გვყავდეს, ეს არის გამოსავალი.

გასულ საუკუნეში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შედეგად საქართველოში მთლიანად შეიცვალა პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკური ჩვევებისა და გამოცდილების მქონე ხალხი საერთოდ ჩამოსცილდა პოლიტიკურ პროცესებს. პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაერთვნენ ის ადამიანები, რომლებსაც არასდროს ჰქონიათ მანამდე შეხება მსგავს პროცესებთან. ასე გრძელდება დღემდე.

აუცილებელია შეიქმნას ახალი პოლიტიკური გაერთიანება. ამისთვის ნიადაგი უკვე მომზადებულია და, ალბათ, დაიწყება პოლიტიკური სიახლეები.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

პაატა ხიზანაშვილი:

ქვემო ქართლის რეგიონი „მწვანე მხარედ“ უნდა იქცეს

„საერთო გაზეთი“, შეიძლება ითქვას, ერთადერთი ბეჭდური გამოცემაა, რომელიც ცდილობს, თვალი მიადევნოს რეგიონებში მიმდინარე პროცესებს და თავის მკითხველს სისტემატურად მიაწოდოს ინფორმაცია ბოლოდროინდელ ცვლილებებზე, დედაქალაქის გარეთ სახელმწიფოს მიერ გატარებულ რეფორმებზე, მის შედეგებზე, სახელმწიფო პოლიტიკისადმი ხალხის განწყობილებებზე, სამომავლო გეგმებზე.

ქვემო ქართლი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია საქართველოს რეგიონებს შორის მრავალმხრივი პარამეტრებით - მრავალეროვნულობით, ქვეყნის შიგნით თუ მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრების სიმრავლით, მხარის სასოფლო-სამეურნეო პოტენციალით, ინფრასტრუქტურული პროექტების სიმრავლითა და მასშტაბებით, ინვესტიციების უპრეცედენტო მოცულობით, ხალხის დასაქმებით, კულტურული ღონისძიებებით, მოსახლეობის მოქალაქეობრივი აქტივობით.

უკვე მესამე წელია, პაატა ხიზანაშვილი ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორია და ამ ხნის განმავლობაში მხარეში მომხდარ სასიკეთო ცვლილებებში დიდია მისი დამსახურება - გნებავთ, როგორც საჯარო მოხელის, როგორც გამოცდილი მეურნის, როგორც მშობლიური რეგიონის კუთხე-კუნჭულში მცხოვრებთა ლხინისა თუ ჭირის გამზიარებლის, ადგილობრივთა მოთხოვნილებებისა თუ საჭიროებების მცოდნის... რაც მთავარია, მისი, როგორც გუბერნატორის გამოცდილება ის ფასდაუდებელი რესურსია, რომელიც ასე სჭირდება ამ მხარის მომავალს, მისი თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, და მთლიანად ჩვენი ქვეყნის განვითარება-წინსვლას.

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი ბატონი **პაატა ხიზანაშვილი** „საერთო გაზეთის“ შეკითხვებს პასუხობს.

- ბატონო პაატა, ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ინტერვიუდან უკვე ერთი წელი გავიდა. ამ ერთ წელიწადში ძალზე ბევრი რამ გაკეთდა ქვემო ქართლში და თქვენ, როგორც გუბერნატორს უთუოდ ბევრი რამ გაქვთ სათქმელი რეგიონის მოსახლეობისთვის, ჩვენი მკითხველისთვის. იქნებ დავიწყოთ ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომლებსაც ყველა სხვა პროექტი ებმის და განსაზღვრავს კიდეც მათ შედეგებს.

- ეკონომიკა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი ქვაკუთხედია. შესაბამისად, მისი განვითარება სახელმწიფოს ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამ სფეროში წინსვლას ბევრი ფაქტორი განაპირობებს და მათგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამართული ინფრასტრუქტურაა. ჩვენს ხელისუფლებას შესანიშნავად ესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია ცალკეული რეგიონების განვითარება ქვეყნის საერთო პროგრესისთვის. 2016 წლის მონაცემებით, ქვემო ქართლი იმ მოწინავე რეგიონებს შორისაა, სადაც ყველაზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. შარშანდელ გამორჩეულ წელზე ყველაზე უკეთ ციფრები მეტყველებს - რეგიონში სულ დაფინანსდა 805 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ჯამური თანხა 47 მილიონ ლარზე მეტია. ეს ფინანსური რესურსი მობილიზებულია სხვადასხვა წყაროდან, კერძოდ: ცენტრალური ბიუჯეტის რეგიონული ფონდის წილია 19 827 326 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტისა - 19 770 766 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის კი – 4 997 464 ლარი. 15 პროექტი, თანხით 2 406 738 ლარი, გარდამავალია.

ცალკე უნდა აღინიშნოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული თერთმეტი პროექტი, რომლებზეც 113 მილიონ ლარამდე დაიხარჯა. მათგან ზოგიერთი, მასშტაბურობის გათვალისწინებით, გარდამავალი იყო. ეს არის თბილისი-წითელი ხიდის გზის თბილისი-რუსთავის ორი მონაკვეთის მოდერნიზაცია, რომლისთვისაც ას მილიონამდე ლარი დაიხარჯა. უკვე გამოცხადებულია ტენდერი მესამე მონაკვეთზეც, რომლისთვისაც 120 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი.

გზების მშენებლობა, გამართული საგზაო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანი და ხშირად გადამწყვეტი ფაქტორია სხვა დარგების განვითარებისთვის.

- ჩვენი თაობისთვის რუსთავი საქართველოს ინდუსტრიის ცენტრი იყო. რა კეთდება იმისთვის, რომ ქალაქმა დაიბრუნოს ან ოდნავ მაინც აღიდგინოს თავისი ინდუსტრიული პოტენციალი?

- ბოლო ათწლეულებში რუსთავს დიდი გასაჭირი დაუდგა და ეს სტატუსი დაკარგა - ამის მიზეზი იყო როგორც საყოველთაო კრიზისი ქვეყნის შიგნით თუ სამეზობლოში, ისე წინა მთავრობების უგერგილობა და, შეიძლება ითქვას, მავნებლობაც. ამის აღდგენა რამდენიმე წელიწადში შეუძლებელია და გარკვეული თვალსაზრისით - გაუმართლებელიც. 2012 წლიდან მოყოლებული, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ინდუსტრიული მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, სხვადასხვა სამსხმელო წარმოება დღესდღეობით უშვებს არმატურას, უნაკერო მილებს, კვადრატულ ნამზადს, თუჯის სხმულებსა და ლითონის კონსტრუქციებს, აგრეთვე გრანულირებულ წიდას, სილიკომანგანუმს, კირსა და კირქვას. ამ ყველაფერზე დიდი მოთხოვნაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ.

ამ კომბინატში ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული. როგორც კი საწარმოს განახლება-გადაიარაღება დამთავრდება, წარმოებაც მოიმატებს და დასაქმებულთა რაოდენობაც. ვცდილობთ, ახალგაზრდობა დავაინტერესოთ მეტალურგიასთან დაკავშირებული პროფესიებით. მათ მომზადება-გადამზადებაში ფასდაუდებელია ძველი კადრების, პროფესიონალების გამოცდილება. ძალზე საშური იყო მთავრობის ახალი ინიციატივა, რომელიც პენსიონერთა დასაქმებას გულისხმობს.

„რუსთავის აზოტის“ პროდუქცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. აქ წარმოებული სასუქები გამოიყენება ადგილობრივ ბაზარზეც და მსოფლიოს 23 ქვეყანასაც მიეწოდება. საწარმოში 2 300 ადამიანია დასაქმებული. ახლა, როცა მსოფლიოში დიდი მოთხოვნა გაჩნდა ორგანულ პროდუქციაზე, „რუსთავის აზოტში“ თანამედროვე ტექნოლოგიით მზადდება მავნე ნივთიერებისგან თავისუფალი შაბიამანი, რაც ჩვენი მევენახეობის დარგის კიდევ უფრო მომძლავრებასა და მაღალხარისხიანი მოსავლის მიღებას უწყობს ხელს. „რუსთავის აზოტი“ კავკასიის რეგიონში ამონიუმის გვარჯილის ერთადერთი მწარმოებელია - მისი ყოველწლიური წარმადობა 500 000 ტონაა, რაც მსოფლიო მოხმარების ერთი პროცენტია.

გარდა ამისა, რუსთავში იგეგმება რამდენიმე ქარხნისა და სხვადასხვა პროფილის საწარმოების მშენებლობა. ეს ნიშნავს რეგიონში დამატებით ათასობით სამუშაო ადგილის შექმნას. ყველა ქარხანა აშენდება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

ქვემო ქართლში უკვე ამუშავდა საწარმოები, რომლებიც უშვებს თანამედროვე ტელევიზორებსა და ელექტროტექნიკას, სამშენებლო სენდვიჩპანელებს, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის წებოცემენტს, ლითონის ძელებსა და კვადრატულ მილებს...

ყოველივე ქმნის საიმისო საფუძველს, რომ რუსთავმა დაიბრუნოს ინდუსტრიული ქალაქის სტატუსი.

- ბატონო პაატა, თქვენგან ხშირად მსმენია იმის შესახებ, რომ არა მარტო რუსთავი, არამედ მთლიანად ქვემო ქართლის რეგიონი უნდა იქცეს „მწვანე მხარედ“. ეს ნამდვილად მისასალმებელი ინიციატივაა, რადგან ადამიანის კეთილდღეობა მხოლოდ მატერიალური პარამეტრებით არ განისაზღვრება - მას ჯანსაღი გარემოც სჭირდება. როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ინდუსტრიალიზაცია ამ მხრივ დამაბრკოლებელ ფაქტორად არ იქცეს?

- საქართველო მყარად ადგას ევროინტეგრაციის გზას და შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედება ამის დასტურია. ეს ბევრს გვავალდებულებს. გარემოსდაცვითი ევროპული სტანდარტების აღიარება და მათი საქართველოში დანერგვა ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ე. წ. მწვანე ეკონომიკები საზღვარგარეთ ათეულობით წლის განმავლობაში ყალიბდებოდა. ჩვენ ყველა - მთავრობა, ხალხი ვაცნობიერებთ, რომ „მწვანე ეკონომიკა“ სწორედ ის გზაა, რომლისკენაც უნდა მივისწრაფოდეთ. ამის ალტერნატივა არ არსებობს. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება გარემოსდაცვითი სტრატეგიისა და შესაბამისი სამთავრობო დოკუმენტებით განამტკიცებს ამ მისწრაფებას. რამდენიმე დოკუმენტს დავასახელებ. ესენია: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია/ „საქართველო 2020“, 2015-2017 წლების რეგიონალური განვითარების პროგრამა და სამოქმედო გეგმა, სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია საქართველოში 2015-2020 წლებისთვის.

შარშან საქართველოში გაიმართა მინისტერიალი „გარემო ევროპისთვის“, რომელზეც პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა გარემოსდაცვითი საკითხების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ „დღეს უკვე მწვანე ეკონომიკა განიხილება როგორც ერთ-ერთი აუცილებელი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარების მისაღწევად”.

მთავრობის ძალისხმევა ერთია, მაგრამ ეკოლოგიური მდგომარეობის გაჯანსაღებაზე ზრუნვა - ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება ხელისუფლებასთან ერთად თითოეული ჩვენგანის საქმეა.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და შესაბამისი ქცევის წესების ჩამოყალიბება. ნელ-ნელა და განუხრელად უნდა დავამკვიდროთ ევროპული სტანდარტები ჩვენს ყოველდღიურობაში, ჩვენი და ჩვენი მომავალი თაობის ცნობიერებაში. მხოლოდ ასეთი კომპლექსურობით, ასეთი მიდგომებით თუ შევქმნით ჩვენ გარშემო ჯანსაღ გარემოს.

- ქვემო ქართლის ენერგეტიკულ პოტენციალზე საუბარს გვერდს ვერ ავუვლით, რადგან ეს რეგიონი ყო-

ველთვის გამორჩეული იყო მძლავრი ენერგეტიკული ობიექტებით და ისინი თითქმის მთელ საქართველოს ემსახურებოდა. რა მასშტაბის ინვესტიციები განხორციელდა ენერგეტიკის სფეროში და კიდევ რა იგეგმება ქართული ენერგეტიკის მოსამძლავრებლად, მისი საიმედოობის გასაზრდელად, იმისთვის, რომ საქართველომ გარკვეული დამოუკიდებლობა შეინარჩუნოს ადგილობრივი გენერაციის ობიექტების მეშვეობით და დამოკიდებული არ იყოს მეზობელ ქვეყნებზე?

- საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო რესურსი გაჩნია დამოუკიდებელი ენერგოსისტემის შესაქმნელად, და ეს პირველეს ყოვლისა ჰიდრორესურსებს ეხება. გამართული ენერგოსისტემის, მისი საიმედოობის განმტკიცება ჩვენი ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი (თუ უპირველესი არა) საზრუნავია, თუ უპირველესი არა. ამ საქმეს სოლიდური ინვესტიციები სჭირდება, ენერგეტიკის სამინისტრო არაერთ უცხოელ ინვესტორთან აწარმოებდა და აწარმოებს მოლაპარაკებებს. ბოლო 50 წლის განმავლობაში ქართულ ენერგეტიკაში ასეთი აღმავლობის პერიოდი არ ყოფილა. გრძელვადიანი ინვესტიციები განხორციელდა მთლიანად საქართველოს მასშტაბით. მე კონკრეტულად ქვემო ქართლზე მოგახსენებთ:

შარშან წარმატებით დასრულდა გარდაბნის 230 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი. იგი 2013 წელს ერთობლივად დაიწყო საპარტნიორო ფონდმა და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ“, და მათივე ინვესტიციით განხორციელდა. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 230 მილიონი აშშ დოლარია. მშენებლობას აწარმოებდა უმსხვილესი თურქული კომპანია ÇALIK ENERJI.

შარშანვე, შემოდგომაზე საფუძველი ჩაეყარა „გარდაბნის თბოსადგური 2“-ის მშენებლობას, რომელიც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცების გზაზე გადადგმულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯად შეაფასა. ეს იქნება სრულიად ახალი ტექნოლოგიის, კომბინირებული წვის ენერგოეფექტიანი თბოელექტროსადგური, რომელიც მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების ერთ-ერთი ლიდერი კომპანიის China Tianchen Engineering Corporation, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის დაფინანსებით ხორციელდება. პროექტის ღირებულება 159 მილიონი აშშ დოლარია.

ელექტროენერგიით რეგიონალური ვაჭრობა ძალზე მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის. ამ სფეროში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს „რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში მარნეულის მუნიციპალიტეტში 2015 წლის შემოდგომაზე დაწყებული ახალი, 500 კვ ქვესადგურის „მარნეული-500“-ის მშენებლობა. გარდამავალი პროექტის ღირებულება 20 მილიონ აშშ დოლარს აღემატებოდა და ქვესადგური შარშან წლის ბოლოს ამოქმედდა.

„საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ საკუთარი ძალებით ახორციელებს 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის „კოდა-2“ მარნეულის ქვესადგურში შეჭრის პროექტს, რომლის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება აღმოსავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით თბილისისა და ქვემო ქართლის ელექტროენერგიით მომარაგება და გაიზრდება ენერგოსისტემის საიმედოობა. გარდა ამისა, ნამატი ელექტროენერგიით მეზობელ ქვეყნებთანაც შევძლებთ ვაჭრობას.

უკვე ამუშავდა 2,5 მგვტ. სიმძლავრის კაზრეთი-ჰესი. მიმდინარეობს მუშაობა 1,9 მგვტ დებედა-ჰესის მშენებლობაზე. სამუშაოს დასრულების შემდეგ ქვეყანა წლიურად დამატებით 10,5 მგვტ.სთ ელექტროენერგიას მიიღებს.

საქართველო რეგიონში ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც გაზსაცავი არ გააჩნია, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის. ამიტომაც, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, სამგორის სამხრეთი თაღის საბადოს ბაზაზე აშენდება მიწისქვეშა გაზსაცავი, რომელშიც 200 მილიონ კუბურ მეტრამდე მოცულობის გაზის დარეზერვების საშუალება იქნება. ეს ჩვენი ქვეყნის ახლანდელი მოხმარების დაახლოებით 10 პროცენტია. მიწისქვეშა გაზსაცავის მშენებლობით ქვეყანა მიიღებს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტს, რომელიც აამაღლებს ჩვენს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. რაც მთავარია, მომხმარებლებს გაზს კრიტიკულ სიტუაციებში მიაწვდის და შეამცირებს სეზონური დისბალანსით გამოწვეულ პრობლემებს.

უკვე დასრულებულია სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის „წითელი ხიდი-მარნეულის“ 500 მმ დიამეტრის 24 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია-მშენებლობის სამუშაოები. თითქმის 40 წლის წინ აშენებულ წითელი ხიდი-წალკა-ახალქალაქის გაზსადენზე მსგავსი სამუშაო არ ჩატარებულა.

ქვემო ქართლის რეგიონის თითეულმა მოსახლემ იგრძნო ქართულ ენერგეტიკაში მომხდარი დადებითი ცვლილებების შედეგები. ათეულობითათასი აბონენტი ჩაერთო გაზის ქსელში და მუნიციპალიტეტების ყოველწლიურ გეგმებში ეს კვლავ ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, ისევე როგორც ელექტრონული მრიცხველების დამონტაჟება და მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა.

ქარისა და მზის ენერგიის გამოყენებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამედროვე მსოფლიოში. მას მომავლის ენერგიას უწოდებენ და ჩვენც უნდა ვეცადოთ, გამოვიყენოთ იგი. კონკრეტულად ქვემო ქართლში ქარის ენერგიის გამოყენების პოტენციურ არეალად რუსთავისა და სამგორის მიდამოებიც განიხილება. მზის ბატარეების დამონტაჟება ხომ მთელი საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი პერსპექტიულია. ქვემო ქართლში, სატესტო რეჟიმით უკვე მიმდინარეობს მზის ბატარეების გამოყენება საბავშვო ბაღებში და გარე განათებაში. ჩვენი რეგიონის ეკოლოგიურად უსაფრთხო მწვანე მხარედ ჩამოყალიბებას ესეც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

- საქართველო აგრარული ქვეყანაა და, ცხადია, სოფლის მეურნეობა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. სახელმწიფო, ჩვენი ხელისუფლება ყოველმხრივ ეხმარება გლეხს, მაგრამ ქართველი გლეხი მოკლებულია იმ ტექნიკურ საშუალებებს, რაც უცხოელ ფერმერებს გააჩნიათ. შესაბამისად, აქაურთა გარჯა გაცილებით შრომატევადია, შედეგებით კი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო მონაცემებს. თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქართველი გლეხის შრომამ შესაბამისი შედეგი მოიტანოს? რა უნდა მოიმოქმედოს ხელისუფლებამ, რომ სოფელი და სოფლის მოსახლეობა წელში მეტად გაიმართოს?

- „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება და სოფლად ცხოვრების გაუმჯობესება თავისი მოღვაწეობის პრიორიტეტულ მიმართულებად დაისახა. მთავრობამ შეიმუშავა და შესაბამისი ფინანსებით უზრუნველყო „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“. ბევრი ჩვენი ოპონენტი ცდილობდა, დაეჭინებინა ამ პროექტის მნიშვნელობა - თითქოს ტყუილუბრალოდ იკარგებოდა სახელმწიფო რესურსები და მისგან უკუგება არც ისე ეფექტიანი იყო, რადგან მოხნულ მიწას მისი მეპატრონეები მერე აღარ უვლიანო. რასაკვირველია, ყველა ერთბაშად მეურნე ვერ გახდება, ამაზე გათვლა არც ყოფილა - მთავრობის მთავარი მიზანი იყო, სოფლად მცხოვრებ მიწის მფლობელს, რომელიც ეკონომიკური ვითარების გამო სავარგულებს ვერ ამუშავებდა, მიწის დამუშავების სურვილი და შესაძლებლობა გასჩენოდა, ხოლო სხვები მიტოვებულ მამაპაპისეულ მიწას დაბრუნებოდნენ. მათ გაუჩნდათ მოტივაცია, მიწა გერგილიანად გამოიყენონ და თავისი მოყვანილი პროდუქციით ოჯახს შეეხიდონ, წელში გაიმართონ.

მიწასთან დაბრუნებულმა გლეხმა გააცნობიერა, რომ მეურნეობის ფეხზე დასაყენებლად საჭირო იყო გაერთიანება და ერთობლივი ძალებით დოვლათის შექმნა. ნელ-ნელა იქმნება კოოპერატივები, რომლებიც სარგებლობენ ახალი საბანკო პროდუქტით - შეღავათიანი აგროკრედიტით. ქვემო ქართლის რეგიონში საბრუნავი საშუალებების მიზნობრიობით აქაურებისთვის რამდენიმე მილიონი ლარის აგროკრედიტი გაიცა.

ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია - ბიზნესზე ორიენტირებულ ფერმერთა კოოპერატივები, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ძლიერი ფენის ჩამოყალიბებას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვას, ადგილობრივი პროდუქციის წარმოების წახალისებასა და კონკურენტუნარიანობის ზრდას. თუმცა კოოპერატივების შექმნის პროცესში კვლავაც არის პრობლემები, რომლებსაც ბიოროკრატიული თუ საკანონმდებლო ხარვეზები იწვევს.

პრობლემად რჩება დაუმუშავებელი მიწები, რომლებიც წინა ხელისუფლებამ თავის ე. წ. აქტივისტებს გადასცა. ვფიქრობ, ხელისუფლებამ უნდა დააწესოს გადასახადები მოცდენილ მიწებზე.

კიდევ ერთი კარგი პროექტია „დანერგე მომავალი“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიან გამოყენებას მრავალწლიანი კულტურების გასაშენებლად. რამდენიმე წელიწადში თვალსაჩინო შედეგებს მოიტანს და შესაძლებელი გახდება იმპორტირებულის ადგილობრივი პროდუქციით ჩანაცვლება.

მაგალითად, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ სეიდხოჯალოს მკვიდრმა რასულ ვალიევმა, რომელიც ამ პროგრამაში ჩაერთო, 8,47 ჰექტარზე კაკლის ბაღის გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 30 758 ლარის სახელმწიფო დაფინანსება მიიღო. ამჟამად მან უკვე გააორმაგა კაკლის ბაღების ფართობი.

ასეთი მაგალითი არაერთია. ბოლნისის, მარნეულისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში 201 ჰა მიწის ფართობზე უკვე გაშენდა ვაშლის, ქლიავის, ტყემლის, ხურმისა და კაკლის ბაღები. მთელი საქართველოს მასშტაბით ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის დღევანდელი მონაცემებით ფართობი 1383.55 ჰა-ს შეადგენს, ხოლო დაფინანსების მოცულობა 7.095 მილიონ ლარს აღემატება.

სასოფლო-სამეურნეო მიწების მიზნობრივი გამოყენების ზრდა, მისი მაქსიმალური ხელშეწყობა, მრავალწლოვანი ბაღების გაშენება და სანერგე მეურნეობების მოწყობა ჩვენი მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფას მოემსახურება. ჩვენი ბაზრების დახლებზე ჩვენსავე მიწაზე მოყვანილი სასოფლო პროდუქციის სიუხვე უკვე იგრძნობა. ამ პროდუქციაზე მოთხოვნილება გაჩნდა უცხოეთშიც. ნელ-ნელა, ქართული ხარისხიანი პროდუქცია ადგილს იმკვიდრებს ევროპულ ბაზარზეც.

წინა ინტერვიუს მსგავსად, შეუძლებელი აღმოჩნდა ქვემო ქართლის გუბერნატორთან ყველა სფეროში განხორციელებულ პროექტებზე საუბარი, მათ შორის ისეთებზე, როგორიცაა: მაღალმთიანი რეგიონების განვითარების სტრატეგია, „სამოქალაქო ბიუჯეტირება“, თვითმმართველობის განვითარება, ახალი თუ რეაბილიტირებული რამდენიმე ათეული საბავშვო ბაღი, სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია, ახალი დარბაზებისა თუ სარაგბო სპორტული ცენტრის გახსნა, ქვემო ქართლის ტურიზმის პოტენციალის გამოყენება და განვითარება... ამჯერადაც იმის იმედით ვემშვიდობებით ბატონ პაატა ხიზანაშვილს, რომ შემდეგ ინტერვიუში ამ თემებზეც ვისაუბრებთ.

მარიამ სოლოღაშვილი

დიმიტრი ლორთქიფანიძე:

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს...“

„საერთო გაზეთის“ ბატონი დიმირტი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, რუსეთმა აფხაზეთში დიდძალი ტექნიკა შეიტანა, რაც მთელს საქართველოს სრულად ფარავს და აკონტროლებს. ე. წ. სამხრეთ ოსეთში საპრეზიდენტო არჩევნები და რეფერენდუმი ჩატარდა. რა ახალი საფრთხეები გველის?

— საქმე ისაა, რომ რუსეთი დღესაც თვლის, კავკასია — სამხრეთი საზღვრების უმთავრესი ბუფერი, მისი სისხლით მოპოვებული რეგიონია. კავკასიაში მისი პოლიტიკური ინტერესი მისსავე სახელმწიფოებრივი არსებობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ყირიმისგან განსხვავებით რუსეთი არ თვლის, რომ კავკასია მისი ორგანული ნაწილია, მაგრამ, მისი აზრით, ამ რეგიონში რუსეთის ინტერესები იმდენად ძლიერია,

მსოფლიო მას უნდა ეკითხებოდეს თუ როგორი გავლენის ხარისხით იცვლებოდეს ჩვენს რეგიონში ესა თუ ის პოლიტიკური პლატფორმა. ყირიმთან დაკავშირებით, არის თუ არა იგი რუსეთის ორგანული ნაწილი, თანამედროვე მსოფლიოში კრიტიკული დამოკიდებულება სულ უფრო და უფრო მცირდება. რუსეთი ყირიმს სწორედ ასეთად თვლის. აჭარასთან დაკავშირებით რუსეთს გარკვეული მოსაზრებები გააჩნია, ერთ შემთხვევაში ეს არის თურქეთთან მიმართებით ძალის დემონსტრირება. ვინაიდან, თურქეთმა 2005 წელს კავკასიაში სამშვიდობო ახალი პლატფორმის იდეა გამოაცხადა და საკუთარი თავი ამ იდეის ხორცშემსხმელად დაასახელა. აქ, პირველ რიგში, მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარება და ასევე, ოკუპირებული რეგიონების აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დეოკუპაციის კონცეფციის იდეაც იგულისხმებოდა. თუმცა, კარგად ვხედავთ როგორ წარიმართა პროცესები. 2017 წელს რუსულ-თურქულმა მძლავრმა დაპირისპირებამ, საბოლოო ჯამში, თანამშრომლობისა და ურთიერთინტერესზე აგებული, მომავალზე გათვლილი თამაშის ხასიათი მიიღო. ძალიან კარგად ვხედავთ, მთელი მსოფლიო მოწმეა, რომ რუსეთი ამ ურთიერთობაში ყოველთვის გამარჯვებულია. თავის დროზე ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აღდგენის აუცილებლობაზე ღიად ისაუბრა. მაგრამ ერთია რას დეკლარირებენ ჩვენი დასავლელი პარტნიორები, მეორე მხრივ კი, კულუარულად, მარიონეტულ ქართულ ხელისუფლებას რუსეთის ფედერაციასთან რაიმე ტიპის პოზიტიურ დიალოგში შესვლა კატეგორიულად აკრძალული აქვს. ჟენევის მკვდრადშობილი ფორმატიც არაფრის მომტანია. რუსეთი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე სამხედრო რიტორიკას ავითარებს. მას ამიერკავკასიაში ყოფილი მეშვიდე არმიის ბაზაზე ძალიან სერიოზული სამხედრო ბაზები გააჩნია, სადაც უკვე იმ ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო რაკეტებია აღმართული, რომლებიც, პრაქტიკულად, ნებისმიერ წამს საქართველოს ცას არასაფრენ ზონად აქცევს. აღარაფერს ვამბობ დამატებით შეიარაღებაზე, რომელიც ბოლო 2-3 წლის განმავლობაში ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში შემოვიდა. მოგეხსენებათ, რომ საშუალო რადიუსის ისეთი სტრატეგიული რაკეტები როგორიც ე.წ. ტოჩკა უ და ისკანდერია, უკვე ორივე რეგიონშია განთავსებული და, პრაქტიკულად, არმია ჩვენს ტერიტორიაზე ისეთი კონცენტრაციითაა შემოსული, არამც თუ საქართველოს სრული ტერიტორიის ანექსიისა და ოკუპაციის შესაძლებლობა აქვს, არამედ მთელი ამიერკავკასიის, რეგიონის. ჩვენ, 2008 წლამდე ვაცხადებდით, რომ საქართველოს წითელი ხაზები გააჩნია. მახსოვს, 2008 წლის მოვლენებს წინ უსწრებდა კონდოლიზა რაისის სიტყვებიც: საქართველოს გააჩნია წითელი ხაზები და მის კონტურებს აშშ მკაფიოდ აკვირდებაო. ეს იყო ის მაპროვოცირებელი ფრაზა, რომელსაც საქართველო როგორც ანკესს ჭიაყელა ისე წამოეგო. ეს შემდგომში უფრო მკაფიოდ გამოჩნდა, როცა არა ჩვენმა, ქართულმა არამედ ევროკავშირის კომისიამ ტალიავინის ხელმძღვანელობით არაორაზროვანი დასკვნა დადო, რომლის 21-ე მუხლში მკაფიოდ წერია: ევროკავშირის კომისიისთვის სრულიად გაუგებარია რატომ უნდა გახსნილიყო ცეცხლი ქართული მხრიდან რუსული სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ იმგვარად რომ ამ უკანასკნელისთვის საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს და მთავრობას სტატუსი არ შეეცვალათო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა.

ჩვენ, რეალურად, ვიღუპებით. დემოგრაფიული სურათი, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ იქნა წარმოდგენილი ცხადად გვიჩვენებს, რომ 2030 წლისთვის ჩვენ, პრაქტიკულად, ეთნიკური ქართველები, გავნახევრდებით. ამის მთავარი პირობა არის არა მხოლოდ შობადობის დაბალი მაჩვენებელი, არამედ მიგრაციის შეუქცევადი პროცესები. მხოლოდ ჩემს სამეზობლოში 18 ახალგაზრდა მამაკაცია წასული, რომლებიც იქ, მერე ცხოვრების ნაკადს ერთვიან და დიდი ალბათობით ეს მორევი მათ ისრუტავთ და მათგან ქართული მხოლოდ სახელი და გვარი რჩება.

— წინა ხელისუფალმა 2009 წელს ღიად გამოაცხადა — საქართველო დემოკრატიული და სოციალური რეფორმების ლაბორატორია უნდა იყოსო.

— ასეც არის. ორი დღის წინ აეროპორტში გახლდით, თურქეთიდან სტუმარს ველოდი, მანამდე 15 წუთით ადრე დავჯდა რეისი შარჟა-თბილისი. საუდის არაბეთიდან ოჯახები 4-5 შვილით ჩამოვიდნენ. გამიკვირდა, ვიფიქრე რაღაც დელეგაცია ჩამოდის-მეთქი. ჩემი ყურადღება დამხვდურთა ჯგუფმა მიიქცია — ესენი იყვნენ უცხოური ორგანიზაციები, რომლებიც საქართველოში უძრავი ქონების, მიწის, ბინადრობის უფლების მოპოვების და მოქალაქეობის მინიჭების საკითხით არიან დაკავებულნი. როგორც გაირკვა, თითოეული ოჯახი მიწა-წყლის საყიდლად, მოქალაქეობის მისაღებადაა ჩამოსული და დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვთ. მათ გეგმის განხორციელება 35 ათასი დოლარი უჯდებათ. ამის მერე თუ ვინმე ჩათვლის, რომ ქსენოფობი ვარ, მედებატონ. სასწრაფოდ განგაშის ზარებია დასარისხებელი. სამ-მილიონიანი ქვეყანა, რომელიც საკუთარ თავს მინიმალური სამუშაო ადგილებით, ეკონომიკის სტაბილური განვითარებით ვერ უზრუნველყოფს, ქვეყანა რომლის ერთადერთი რეალური შემოსავალი საზღვარგარეთ ნაშოვნი კაპიკებია, ქვეყანა რომელიც დევნის

ქვეყნიდან მოქალაქეებს, ეს მიზანმიმართული პოლიტიკა არ არის?

— ახლა, ნეოლიბერალებისგან მომავალი საფრთხე ახსენეთ, რასაც აშშ-ს პრეზიდენტი ღიად დაუპირისპირდა. ჩვენთან კი ეს ფრთა დღითიდღე ძლიერდება.

— აშშ-ში მოსულმა პრეზიდენტმა, რა თქმა უნდა, ჩვენს ხელისუფლებას დიდი საფიქრალი და საგონებელი გაუჩინა ვინაიდან ფაქტია, რომ რაღაც დონეზე ტრამპის ადმინისტრაციისთვის კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში სოროსის გავლენები სრულიად შეუთავსებელია. ეს სრულიად შეუსაბამოა. ფაქტია, ასეთი შეუთავსებლობა რაც დღეს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებს შორისაა, იდეოლოგიური შეუთავსებლობის თვალსაზრისით, სწორადაა გამოსაყენებელი და შესაფასებელი. ეიფორიაში არ უნდა ჩავვარდეთ და იმის ილუზია არ უნდა ვიქონიოთ, რომ ტრამპი, ამ თვალსაზრისით, ჩვენი პირდაპირი პოლიტიკური პარტნიორია. ამ საკითხს ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ. შევეცადოთ გავარკვიოთ, რამდენად უღირს აშშ-ს ქვეყანაში ის სახიფათო დემოკრატიული და სოციალური ექსპერიმენტები გრძელდებოდეს, რაც ფაქტობრივად, 25 წელია ვითარდება და საქართველოს დესუვერენიზაციას უქადის. არცერთი კლასიკური ნიშნით სახელმწიფო არ ვართ. აშშ-ს დღევანდელ ადმინისტრაციასთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანი საკითხია და იგი რუსეთის ფედერაციასთან ჩვენთვის სასიცოცხლო საკითხების მოსაგვარებლად როგორიცაა ტერიტორიული მთლიანობა და პოლიტიკური სტაბილურობა სწორად უნდა იქნას გამოყენებული.

— ბატონო დიმა, ამჟამად, საქართველოს ტერიტორიების ნაწილი რუსეთს უკავია. რა ელის დანარჩენ საქართველოს, რა პერსპექტივა გვაქვს? თუ დანარჩენ ნაწილში ნატოს ჯარი განთავსდება ჩვენი ქვეყანა სამხედრო პლაცდარმად ხომ არ გადაიქცევა?

— დიახ, 2008 წელი ჩვენი ამერიკელი პარტნიორების მხრიდან სწორედ ამის დემონსტრირება იყო. ამერიკელებს უნდოდათ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებით საქართველო სამხედრო პოლიგონად ექციათ. მათ ეს გამოუვიდათ, რითაც მხოლოდ საქართველომ იზარალა და გამოუსწორებელი იარები მივიღეთ. „ქართული ოცნება“ მოვიდა ორი ძირითადი დაპირებით: სამართლიანი სამართლებრივი გარემოსა და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის აღდგენის თაობაზე. ვხედავთ, რომ რუსეთთან მიმართებაში დიალოგის სურვილიც კი მკვდარია. ის რაც გუშინ შესაძლებელი იყო, ზეგ აბსოლუტურად შეუძლებელი იქნება. რუსეთთან ჩვენი ხისტი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ჩვენ მუდმივად ვიღებთ მავთულხლართებს, ადმინისტრაციულ საზღვარზე უკანონოდ დაკავებულ პირებს, დოქტრინალური ხასიათის თანამშრომლობებს, მემორანდუმებს რუსეთსა და აფხაზეთსა და რუსეთსა და სამაჩაბლოს ხელმძღვანელობას შორის, რომლის ფარგლებში ე.წ. სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე მყოფი ადგილობრივი შენაერთები რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ნაწილად გამოცხადდა. არის თუ არა ეს გაფრთხილება და კიდევ ერთი შანსი იმისა, რომ ჩვენ გამოვიღვიძოთ და ხალხმა ხელისუფლება აიძულოს მოლაპარაკებების მაგიდას მიუბრუნდეს, რომელსაც ალტერნატივა არ გააჩნია. დრო ოკუპანტის სასარგებლოდ მოქმედებს. როგორც დიდი ილია ამბობს: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი...“

თამარ შველიძე
555 23 28 24

თუ ეს კონსტიტუცია ყველასია, მაინცდამაინც ჩემი პრეზიდენტი რატომ დამიჩაგრეთ?

სანამ პარლამენტი კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებს განიხილავდა – ჩემმა პრეზიდენტმა – რას მიქვია პარლამენტიო? ვინ მიქვია პარლამენტიო?

კონსტიტუცია უნდა განვიხილო მე ორღობეშიო...

გლეხებმა, მუშებმა, მასწავლებლებმა უნდა ამაწყობინონ კონსტიტუციაო...

კონსტრუქცია კი არ არის, ბატონო, ეგ, კონსტიტუციაა, კონსტიტუცია და რაში გვჭირდება მაშინ პარლამენტი – ყველას თუ შეგვიძლია კონსტუტიციის დაწერა–აწყობა?

პრე – (ლათ) რთული სიტყვის ნაწილია და აღნიშნავს ფაქტს და მოვლენას, რომელიც წინ უსწრებს სხვა მოვლენასა და ფაქტს...

ზიდენტი – არ ვიცი...

ამიტომ, რაც ვიცი და რაც მოგიხდათ, იმას დაგიძახებთ...

ხოდა, პრე – მდგომარეობაში ხართ, ახლა, თქვენ, ბატონო პრეზიდენტო...

გულწრფელად ვწუხვარ თქვენს პრე მდგომარეობას, მაგრამ...

ხოდა, გამოვიდა პრეზიდენტი ორღობეში... როგორც მაშინ, არჩევნებისას... ამჯერად, მარტო გამოვიდა, ამჯერად, ვერავის ზურგს მოეფარა, ამჯერად, ვერ გავიდა უცნაური ღიმილით ფონს...

მატყუილებთ აშკარად, ჩემო პრეზიდენტო....

კამპანია დავიწყე „კონსტიტუცია ყველასათვისო“...

ჯერ ერთი, „კამპანია“ ახლა შამპანიურის და ცოლიკაურის გარეშე ვის გაუგია... კაი, იყოს ვისკიც...

მეორეც, რა ყველასათვის? ვინ ყველასათვის?

დავიჯერო, ახლა პრეზიდენტის არჩევის წესის ცვლილება მე მეხება?

პირადად მე?

რანაირად, თუ ჩემი პრე პრეზიდენტი ხარ, ამიხსენი რა...

ერთი თქვენი მდიდრული სექსი მეხებოდა მე და მეორე ეგ მეხება...

იქნებ, ის მეხება – კონსტიტუციაში ოჯახის განსაზღვრების ჩაწერას რომ აპირებენ?

რატომ, რა? კაცი დაილია, ქალს რომ არ მივთხოვდე?

რატომ რა? ევროპაში არ შემიშვებენ?

თორემ, ახლა გავრბოდი გაყინულ ანგარიშზე თანხას ვდებდი და საელჩოსთან რიგში ვდგებოდი, აი...

არ დამიწყოთ ახლა, მაღალ ფასეულობებზე საუბარი...

არ მითხრათ, ახლა, ასე საკუთარი თავის გადმოსახედიდან არ უნდა შეხედოო...

შემოვუარე, ბატონო, შემოვუარე...

ხოდა, ყველასი არა, კვახი!

საპარლამენტო უმცირესობა იმუქრება იქეთ კიდევ ცალკე... რას იმუქრება, ცოტა ვერ გავიგე... გავალთ კომისიიდანო... მართალია, ჩვენი გასვლით არაფერი შეიცვლება, იმიტომ რომ უმრავლესობას ჩვენი ხმების გარეშეც შეუძლია ამ ცვლილებების დამტკიცებაო, მაგრამ მაინცო...

აბა, კარის მიჯახუნების ხმაზე შევხტებით, ბატონებო?

თუ რაშია საქმე?

საპარლამენტო უმრავლესობა ხელს ადებს პრეზიდენტს – მაგან აგვიბუნტა ეს ბუნჩულა და საყვარელი უმცირესობა, თორემ ხომ იყო გასუსული და გაყურსულიო...

პრეზიდენტი კი მაინც ცოცხალი თავით არ გამოდის ორღობიდან...

ერთი ანეგდოტი გამახსენა ამ ამბავმა:

მარწყვი, კაკალი და ბანანი ერთმანეთში საუბრობენ:

მარწყვი: – მე ყველას ვუყვარვარ, იმიტომ, რომ გულს ვგავარ!

კაკალი: – ჰმ, დიდი ამბავი, რომ გულს ჰგავხარ, სამაგიეროდ მე ტვინს ვგავარ!

ბანანი: – მეგობრებო, იქნებ... საუბრის თემა შეგვეცვალა?

რა ჰქნას ადამიანმა, პრეზიდენტია და თან უკვე პრეა...

განვმეორდები და ისევ გეტყვით: – გულწრფელად ვწუხვარ თქვენს პრე მდგომარეობას, მაგრამ...

მაგრამ, მეორეს მხრივ, 4 წელიწადში იმდენი მოახერხეთ, რომ თუ რამე უფლება გქონდათ და საშუალება – ვერც ერთი ვერ გამოიყენეთ, ყველა უფუნქციოდ დატოვეთ... ყველას გაუქმების სურვილი გაუჩინეთ პარლამენტს...

ვეტოს გარდა... ვეტო „გევასებოდათ“ ძალიან...

აწი, ოჯახში თუ დაარტყამთ მაგიდაზე მუშტს, ჩემო პრეზიდენტო...

ისე, მთელი ოთხი წელი გვიმტკიცებდით, არაფერის უფლება არ მაქვს, თორემო...

კონსტიტუცია არ მაძლევს უფლებას, თორემო...

ახლა, კიდევ უფლებებს მართმევენო?

რომელ უფლებებს, ბატონო პრეზიდენტო? რომ გვეუბნებოდით, არ მაქვსო, იმ უფლებებს?

და თორემო?

მთვარიანი ღამე არ იყოსო? პარასკევი არ იყოსო?

მოვა პარასკევიც, მაგრამ ჩამოხსნილია ახლა უკვე ეგ ძეხვი და გინდა ახტით და გინდა დახტით, აწი...

რა გიყოთ ახლა, მე თქვენ?

ვისზე ვწერო აწი, მე?

რაღა თქვენი ფუნქციის დაკარგვა და რაღა ჩემი ფუნქციის დაკარგვა – ჩემო პრევ...

რომან გოცირიძე დამიწყნარეთ ვინმემ – საზოგადოება



უნდა დავირაზმოთ, რომ საქართველოს კონსტიტუცია უზურპაციისგან დავიცვათო...

აბა რა, ბატონო რომან, აბა რა...

ეჰ, რა დროს გოცირიძეა, აქამდე სიმწრით მოყვანილ–მოტანილი პრეზიდენტი მრჩება ოხრად...

სამასი კაცი მაგას არ აირჩევს თავიდან...

არც სამი ათასი აირჩევდა და არც სამასი ათასი...

რავა ტყუილად დგას ორღობეში...

რავა ტყუილად გვეჭორავება თავის პრეზიდენტურ გასაჭირზე კონსტიტუციის პირით...

უმრავლესობას კონსტიტუციის საკუთარ ტყავზე მორგება უნდაო...

ყველა ხელისუფლებამ მოირგო თავის დროზე ეგ კონსტიტუცია და მოისხან ამათაც, რა მოხდება, ვითომ?

ხომ მივეცით შანსი?

ხომ მივეცით საკონსტიტუციო უმრავლესობა?

ხოდა, დავაცადოთ...

იქნება და ისე მოგვწონოს, სულ ასე ხელუხლებად დავტოვოთ...

მე რა დამიწუნეთო – ჩემმა პრეზიდენტმა...

დაგეტოვებინეთ მეც ასე ხელუხლებლად, მოგწონებოდით მეც...

რითი არიან ჩემზე უკეთესნიო...

რითი ვარ მათზე უარესიო... – აუცრემლიანდა თვალი...

არ ვიცი, რა ვუპასუხო... დამეწვა გული... კი, ვტუქსავ ხოლმე, მაგრამ სიყვარულით ვტუქსავ, ჩემი რომაა, იმიტომ ვტუქსავ, თორემ, სხვისი ტრამპი დამიტუქსია როდესმე?

ერთი ანეგდოტი გამახსენდა და მოვუყვები:

დრო რომ აირია და ქვეყანა – სტალინი გააცოცხლეს...

ასე და ასეა ჩვენი საქმეო... უნდა გვიშველოო...

ჩამოწერა სტალინმა – ეს უნდა მოვხსნათ, ეს უნდა გადავასახლოთ, ესეც დავხვრიტოთ და ბოლოს – კრემლი უნდა გადავღებოთ მწვანედო...

აღშფოთდა ყველა: – კრემლი მწვანედ რატომო?

კარგი, არ გადავღებოთ. ესე იგი სხვა ყველა საკითხში შევთანხმდითო – ჩაიღიმა სტალინმა...

ხოდა, ხომ დაიწყეთ თქვენი გამოსვლა იმითი, ქუთეისლებმა ძალიან მთხოვეს პრალამენტი დარჩეს ჩვენთანო – რჩება, რჩება, ბატონო პრეზიდენტო... და დანარჩენზე კი უნდა შევთანხმდეთ ახლა რამენაირად...

ეჰ, თქვენ რა გენაღვლებათ... პრე იქნებით, თუ ზიდენტი – მაინც ისევ ისეთ ვისკს დალევთ – მე ვიკითხო – მე ვისზე დავწერო, ვის შევარქვა ათასნაირი სახელი... ვის მოუხდება ასე, თქვენ რომ გიხდებოდათ, ჩემი წერილები... ვისზე დავწერ ასე გულით, ასე სულით?

რა ვქნა, მე პატარა ადამიანი ვარ და ჩემს თავს ვგლოვობ...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

ასურეთის ახალი სიცოცხლე

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ისტორიული სოფლის – ასურეთის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში სოფელ ასურეთის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში განხორციელდა 9 აპრილის ქუჩის 1.2 კმ სიგრძის გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია, მოეწყო 2 ფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი, სანიაღვრეები, რკინა-ბეტონის კიუვეტები და ეზოში შესასვლელები, ხოლო ამ ეტაპზე მიმდინარეობს შვაბების ქუჩის 1.1 კმ მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები: ქუჩაზე მოეწყობა სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემა, სანიაღვრეები, ტროტუარი, გარე განათება, მოხდება მესერების და შესასვლელი ჭიშკრების მონტაჟი, ამასთანავე, მიმდინარეობს ასურეთში მდებარე XIX საუკუნის გერმანულ-არქიტექტურული ღირებულების ეკლესიის, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის და გერმანელთა სასაფლაოს აღდგენისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან მეფის რუსეთის მიერ, საქართველოში გერმანელი კოლონისტების გადმოსახლება დაიწყო. ჩამოსახლებული გერმანელი შვაბების დიდი ნაწილი თბილისის შემოგარენში დასახლდა და 1819 წელს ასე შეიქმნა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში გერმანული დასახლება - სოფელი „ელიზაბეტტალი“ (დღევანდელი ასურეთი).

მე-19 საუკუნის დასასრულისათვის ელიზაბეტტალი კარგად განვითარებული და სამეურნეო თვალსაზრისით სანიმუშო სოფელი იყო, გერმანელები მისდევდნენ მესაქონლეობას, მიწადმოქმედებას და ხელოსნობას. თბილისთან ახლოს მდებარე სოფელი საუკეთესო ხარისხის რძის პროდუქტებით ამარაგებდა დედაქალაქის მოსახლეობას. სოფელში გახსნილი იყო რძის გადამამუშავებელი ქარხანა, სადაც ხდებოდა არაჟნის, კარაქის და ხაჭოს დამზადება. განსაკუთრებით განვითარებული იყო სოფლის მეურნეობის დარგები: მევენახეობა, მემარცვლეობა და მეკარტოფილეობა, ხოლო პროდუქციის რეალიზაცია ხდებოდა თბილისში. გერმანელმა კოლონისტებმა ასურეთში შექმნეს მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-კულტურული დაწესებულებანი, რომლებიც დიდ როლს ასრულებდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, დღემდე შემორჩენილია მათი ყოფის უნიკალური მატერიალური ძეგლები: საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, უნიკალური ღვინის მარანი, გოთური სტილით ნაგები ლუთერანული ტაძარი და ძველი გერმანული არქიტექტურული სტილით ნაშენები საცხოვრებელი სახლები.

აღსანიშნავია ცნობილი „შალლა“, რომელიც გერმანელმა ოტო შალლმა, ვაზის ძველი ტრადიციული ჯიშების სელექციით გამოიყვანა. ვაზის ახალ ჯიშს მოგვიანებით მის საპატივსაცემოდ, „შალლა“ (ასურეთული შავი) უწოდეს. ასურეთში წარმოებული ღვინის რეალიზაციისათვის სპეციალური მაღაზიები იყო გახსნილი როგორც თბილისში, ასევე ბაქოსა და ერევანში. ვენახები გაშენებული იყო სოფლიდან 7 კილომეტრში მდინარე ალგეთის ნაპირებზე, რაც განაპირობებდა მაღალი ხარისხის მოსავლის მიღებას. გერმანელებმა შუაგულ ვენახში ააშენეს უნიკალური სამსართულიანი ნაგებობა - ღვინის მარანი, სადაც დაახლოებით 5 000 ტონამდე ღვინოს აყენებდნენ. მნიშვნელოვანია, რომ „შალლას“ გააჩნია დიდი პოტენციალი დაიმკვიდროს ადგილი არამარტო ქვეყნის შიდა ბაზარზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ასურეთის განვითარების პოტენციალის გათვალისწინებით, 2015 წელს თეთრიწყაროს გამგებლის **ბესიკ ფიკლაურის** ინიციატივით, მომზადდა ყოფილი გერმანული სოფლის - ასურეთის (ელიზაბეტტალი) რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს სოფელ ასურეთში გერმანული მემკვიდრეობის სრულყოფილ რეაბილიტაციას არქიტექტურულ-სტილისტური მეთოდოლოგიის და ავთენტურობის შენარჩუნებით და სოფლისთვის ძველი იერსახის დაბრუნებას. პროექტის მხარე მიმზიდველი გახდეს ტურისტებისათვის და განვითარდეს ტურიზმის სექტორი, ეკონომიკის ტრადიციული დარგები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება (რძის პროდუქტების და სასოფლო-სამეურნეო კულტურების). პროექტის შემუშავება მოხდა გერმანულ მხარესთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით. გერმანულმა მხარემ დიდი დაინტერესება და მხარდაჭერა გამოხატა სოფელ ასურეთის განვითარების პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით და 2015-2016 წელს საქმიანი ვიზიტით გერმანიიდან სოფელ ასურეთს არაერთი მაღალი რანგის სტუმარი ეწვია: გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელი საქართველოში ბ-ნი კრისტოფერ ფრონცეკი, ასურეთში არაერთი ვიზიტით იმყოფებოდა გერმანია-სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი კარინ შტრენცი. სოფელ ასურეთის ისტორიული მემკვიდრეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით სტუმრად იმყოფებოდა, გერმანიის რესტავრატორთა კავშირის პრეზიდენტი-ბენდ იეგერი, ბუნდესტაგის წევრი თავმჯდომარის მოადგილე იოჰანს კარსი, ბუნდესტაგის წევრები: კატრინ კუნერი, ტაბეა როსნერი, ბუნდესტაგის წარმომადგენელი კრისტოფ ბერგნერი, მეგობრობის ჯგუფის წევრი ტანკრედ შიპანსკი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ასურეთის განვითარების პროექტი განხილული და მოწონებული იქნა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური საბჭოს და ევროპის საბჭოს მიერ. აღნიშნულმა ორგანიზაციამ თეთრიწყაროს მუნიციალიტეტს უსასყიდლოდ, 80 ერთეული ორენოვანი (გერმანულ-ქართული) საგზაო მანიშნებელი გადაეცა, რომლის დამონტაჟება მოხდება სოფელ ასურეთში შვაბების ქუჩაზე.

ასურეთის ისტორიული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია მიზნად ისახავს თეთრიწყაროს პოპულარიზაციას, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე, მის ფარგლებს გარეთ. ასურეთის ხელსაყრელი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ადვილად მისადგომობა, სიახლოვე დედაქალაქთან იძლევა იმის პირობას, რომ აქ განვითარდეს ბიზნესსექტორი და ტურიზმის ისეთი სახეობები, როგორიცაა, აგროტურიზმი, სანახაობრივი ტურიზმი, ველოტურიზმი და სხვა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს როგორც ტურისტების დაინტერესებას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და წარმოებული პროდუქციის რეალიზებას მეზობელ მუნიციპალიტეტებში და ქალაქებში. ასურეთი იქცევა რეგიონის ერთ-ერთ გამორჩეულ ტურისტულ ცენტრად, რაც საშუალებას მოგვცემს დაიგეგმოს სხვადასხვა კულტურული, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებები, მოეწყოს ყველის, ღვინის და ლუდის ფესტივალები. პროექტის განხორციელება საბოლოო ჯამში განაპირობებს თეთრიწყაროს და ზოგადად მთელი რეგიონის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ კეთილდღეობას.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

ჯერ მხოლოდ ის, რომ საქართველოში, გრაკლიანის ძეგლზე ძვ.წ XI საუკუნის დამწერლობაა, უკვე საამაყოა და ბევრს ნიშნავს, რადგან ეს თარიღი კიდევ ერთხელ ცვლის საქართველოს ისტორიას, კიდევ ერთი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნის გაყალბებული ისტორიის გასასწორებლად. არამეული წარწერა კი არა, მხოლოდ ერთი ხაზი რომ იყოს იმ პერიოდისა, მაინც საამაყოა...

სამწუხაროდ, ისე ჩანს, რომ ინკოგნიტო მეცნიერს თუ მეცნიერთა ჯგუფს, ფაქტობრივად, ქვეგაწზრახვა აქვს ასე ებრძოლონ, საყდრისის აფეთქებაზე ხელისმომწერ ერთ-ერთ მეცნიერს? ამით ხომ კონკრეტულად ერთ პირს არ ებრძვიან...

ფაქტი ის არის, რომ ადგილზე აღმოჩენილი არტეფაქტები უნიკალურია და გრაკლიანის უწყვეტი განვითარების ისტორიას ადასტურებს. გრაკლიანის შესახებ მასალები გამოქვეყნებულია მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო გამოცემებში საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიასა და ესპანეთში, ხოლო მაიამის (აშშ) ლაბორატორიაში აღნიშნული წარწერა ჩვ. წ. აღ-ის XI—X სს-ით დაათარიღეს. Aამერიკელმა მეცნიერებმა მიიჩნიეს, რომ ნიმუში ძვ. წ. აღ-ით 1005-920 წლებს განეკუთვნება.

აკაკი გასვიანი (ისტორიკოსი, ფილოსოფოსი): — „ჩემი მოსაზრება დადასტურდა! გარდა ამისა, დაიმსხვრა საქართველოს ისტორიის გამყალბებელთა ოცნება, რომ ქართველი ერის უდიდესი კულტურა მისი ფესვებისთვის მოეწყვიტათ და იბერიულ-ქართული დამწერლობა სხვა ერთაგან გადმოტანილად წარმოეჩინათ, ხან — სხვათა მიერ ჩვენთვის შექმნილად და ეს ყველაფერი მაშინ, როცა ის ყველა ანბანის ვარჯია.

როდესაც ვამბობდი, რომ იბერები მსოფლიო ცივილიზაციის მოთავენი არიან, რამდენიმე ფაქტორს ვეყრდნობოდი, მათ შორის: დედამიწაზე კლიმატური ცვლილებებით გამოწვეულ ზეგავლენაზე დაკვირვებას; ანთროპოლოგიურ მონაცემებს; არტეფაქტებს; ენათა სიტყვარის ეტიმოლოგიას; ისტორიულ წყაროებს; ბიბლიას; ქართველ და უცხოელ მეცნიერთა გამოკვლევებს.

დადგენილია, რომ დედამიწაზე ბოლო გამყინვარება 100 000 წელი გრძელდებოდა, თუმცა მასაც ჰქონდა ციკლურობა. ამიერკავკასია, წინა აზია, სპარსეთისა და ინდოეთის სამხრეთი ადგილები სრული გამყინვარების პერიოდშიც და მითუფრო მისი გაზაფხულობის ხანაში, შედარებით ზომიერი კლიმატით გამოირჩეოდნენ, ამ ადგილებში ადამიანის განვითარებისთვის უკეთესი პირობები არსებობდა. დათბობისთანავე, ადამიანები მკვიდრ ცხოვრებაზე გადავიდნენ.

უძველესი არტეფაქტები, ჯერჯერობით აღმოსავლეთ საქართველოში, წინა აზიაში, მესოპოტამიაში აღმოჩნდა. დმანისში აღმოჩენილი ჰომოგეოგრაფიკუსი 1,8 მილიონი წლისაა და მთელ დედამიწაზე აქედან გადაადგილდა. რადგან საქართველოში, გრაკლიანის მიდამოებში ადამიანის უწყვეტად ცხოვრების დრო პალეოლითიდან დღემდე 300 000 წლით განისაზღვრა, გამოდის, რომ იგი ერთი გენეტიკური მოდგმის ანთროპო, ანუ იბერი-ქართველია.

ქართლშიც და ქვემო ქართლშიც ნაპოვნია 8 000 წლის წინანდელი კერამიკული ჭურჭელი ღვინის ნაკვალევით, ყურძნის წიპწებით, ხორბლისა და ქერის მარცვლებით, ყურძნის მტევნების გამოსახულებით — აი, ცივილიზაციის დასაწყისი!

გრაკლიანი მხოლოდ სავიზიტო მოვლენაა. თუ მსოფლიოს მეცნიერები ქართული კულტურით, ქართული ენით დაინტერესდნენ, ცივილიზაციის საფუძვლები იბერიაში აღმოჩნდება!

ისმება შეკითხვა: — ვინ იყვნენ პელაზგები? შუმერები? ქალდეველები?

დათბობის შემდეგ, ყინულისგან გამონთავისუფლებულ და ფლორა-ფაუნით მოფენილ ადგილებში ამერკავკასიისა და წინა აზიიდან მოსახლეობის მიგრაციის პროცესები დაიწყო — ეს მიგრანტი იბერები იყვნენ, მიდიოდნენ და თან კულტურული მიღწევები მიჰქონდათ. ამ თემებს მსოფლიოში სახელგანთქმული ბევრი მეცნიერი გამოეხმაურა. Fფრანგი მეცნიერი ედუარდ დემოლინსი წერდა: — „ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები... ეტრუსკები, ისევე როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადასახლებულები და კოლხეთმა სათავე დაუდო მედიტერანულ (ხმელთაშუაზღვის კულტურა) კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას.“

რუსი ისტორიკოსი იშევსკი: — „ესპანეთის უძველესი მოსახლენი იბერები იყვნენ... იბერები ახლანდელი ბასკების წინაპრები დარჩნენ პირინეებში და ნახევარკუნძულის ნაპირებზე. კელტები ცხოვრობდნენ მდინარე გვადიანის ნაპირებზე... უმაღლესი ხარისხის განათლებით გამოირჩეოდნენ სამხრეთ ნაწილის ტომები, განსაკუთრებით ტურდეტანის იბერები. მათ, რომაელი მწერლების გადმოცემით, ჰქონდათ თავისი ლიტერატურა, ისტორიული ძეგლები, ხალხური სიმღერები და ძველი კანონები დაწერილი ლექსად, რომელთაც ისინი 6 000 წლისად თვლიდნენ.“

პელაზგებს ეკავათ ეგეოსის ზღვის მიმდებარე მიწები — მათ მიღწევებზე აღმოცენდა ბერძნული კულტურა. ეტრუსკები რომის მიდამოებსა და მდინარე ტიბრის შემოგარენში განთავსდნენ — მათ მიღწევებზე აღმოცენდა რომაული კულტურა.

„ტიბრი“ იბერიულად (სვანურად) მდინარეს, ნაკადულს ნიშნავს. მეტიც, როგორც ინგლისელი ისტორიკოსი მორტონი წერდა, „იბერები გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით, ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში.“

იბერთა დამწერლობა ესპანეთში, დღეის ჩათვლით 8 000 წლისაა და საიდან წაიღეს ეს ცოდნა?

გრაკლიანი

ამ კითხვას ერთი პასუხი აქვს: — იბერიიდან!

ამას ამტკიცებს ქართული ჰემატრიის უუძველესობა. ჰემატრია ასო-ნიშანთა სახელდების გამოყენებით, მათი რიცხვობრივი მნიშვნელობით სამეტყველო ლექსიკის შექმნაა. უძველესი იბერიული საკრალური სიტყვარი სწორედ 8-10 ათასი წლისაა.

თუ ამ მსჯელობას გავყვებით, მართალი ყოფილა ბიზანტიელი ლექსიკოგრაფი სვიდა, რომელიც ამტკიცებდა, რომ „ადამი დამწერლობისა და ხელოვნებათა ავტორი იყო“, ხოლო ედემი, სადაც უფალმა აიყვანა ადამი, რაჭაშია...

რუსი მეცნიერი მალიშევსკი წერდა: „შავი ზღვის ჩრდილო ნაპირები — სამხრეთ რუსეთი, დასახლებული იყო ლაზი ტომებით... „ან-ზე“ დაბოლოებული ქალაქების სახელები ტამანიდან ყაზანამდე — კავკასიურია.“

„ჰალ“ იბერიულად (სვანურად) „ნათებაა.“ ღმერთი ათასწლეულების განმავლობაში წარმოედგინათ ნათების, ელვის სახით. მატრიარქატის ეპოქაში წინამძღოლი იყო ქალი და ადამიანებს ღმერთიც ქალის სახით წარმოედგინათ. „ჰალ-ს“ იბერიული დედის სახელი „დი“ დაერთო „ჰალ+დი“=ქალ-ღვთაებას (ასიმილაციით).

შემდგომ, „ჰ“ იქცა „ფ-დ“ (ფარად), შემდეგ „ხ-დ“ (ხან-ად). ლათინო-ევროპულ ენებში ტრანსკრიფციით ითარგმნა „ქან-ად“ და საბოლოოდ მივიღეთ „ქალდეა“.

ურარტუში ძვ.წ. აღ-ით მე-6 საუკუნეში, არმენთა შემოსვლამდე იბერები ცხოვრობდნენ. ურარტუს სახელმწიფოებრივი ზეობის ხანაში უკვე პატრიარქატის ეპოქაა და ღმერთიც მეომარი მამაკაცის სახით წარმოედგინათ „ხალდე-დ“. სახელი „ხალხდე“ ერთ-ერთ სოფელს ჰქვია სვანეთში...

რომელი ენითაც იხსნება ეტიმოლოგიურად ტოპონიმი, ეთნონიმი, თეონიმი, ისინი იმ ერის კუთვნილებაა.

შუამდინარეთის ველზე პირველმოსახლეებმა მიიტანეს კერამიკის ფორმები თავისი ქვეყნიდან, უძველესი კერამიკის სამშობლო კი იბერიაა.

ძვ, წ. აღ მე-2 ათასწლეულში იბერიიდან გადასახლებულებმა შექმნეს დიდი კულტურის მქონე ორი სახელმწიფო, „დიდი ხეთი“, დღევანდელ კაპადოკიასა და მის ჩრდილოეთით; „მცირე ხეთი“ დღევანდელ პალესტინაში, რომელიც შემდგომ შეუერთდა ისრაელს და დაერქვა იუდეა, რომლის ქალაქ ნაზარეთში იშვა იესო.

უამრავი მაგალითია იმის დამამტკიცებელი, რომ იბერიული სიტყვები მსოფლიოშია განივთული, მათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებ:

„გარდე“ — წრე (ფრანგ); „გარდე“ — წრე (სვანურად)

„გეო“, „გე“ — მიწა (ბერძ); „გიმ“, „გი“, „გე“ — მიწა (მეგრ)

„ვაკუუმ“ — სიცარიელე (ლათ); „კუმ“, „კუიმ“ — სიმუნჯე (სვან)

„ლიკელ“ — კუთხე (გერმ); „ლინკელე“ — კუთხეში მომწყვდევა (სვან)

„იმბეცილუო“ — უმეცარი (ლათ); „უმბეცილ“ — უმეცარი (სვან)

„ლიბიდო“ — მოზიდვა (ლათ); „ლიბიდო“ — მოზიდვა (სვან)

„რივერ“ მდინარე (ინგ); „რივეღვარი“, „რივერ-დიდი“ — მდინარე (სვან)

„დევა“ — ქალიშვილი (რუს); „დივა“ — ქალიშვილი (სვან)

ბოლო დროს ევროპელმა მეცნიერებმა ენის წარმოშობის ადგილად კავკასია, კერძოდ, საქართველო აღიარეს, ამერიკელმა მეცნიერებმა კი, სვანური დნმ-ის ანალიზით დასკვნეს, რომ იგი მიეკუთვნება უპრეცედენტოდ უძველესი ცივილიზაციის შემქმნელ ხალხს, ამიტომ ქართველი ერი, როგორც უძველესი ცივილიზაციის სათავე, მსოფლიოს მიერ დაცული უნდა იყოს.“

2016 წლის 6 ივლისს ფსევდონიმით („მაცნე ღმრთითმოვლენილი“, „ღვთივგანბრძნობილი“) მეტყველი უცნობი ადამიანის მოსაზრებები გამოჩნდა სოციალურ ქსელში, რომელსაც მხოლოდ იმის თქმა უნდოდა ბგერითი მტკიცებულებებით, რომ ქართული ენა ზოგადსაკაცობრიო ენაა. საინტერესოა...

(მოკლე ვერსია) „აჰა, აღსრულდა ჟამი კაცთა მოდგმის ერთ ენაზე მეტყველებისა, რამეთუ დასაბამიდან კაცთა მოდგმა ერთ ენაზე მეტყველი, ოდესღაც დაკნინდა და ენა მისი სამეტყველო შეცვლილ იქნა ჟამით-ჟამად. ოდენ შემორჩა ადგილსა მასსა რომელსა საქართველო ჰქვია, სადა ჰხარობს ვაზი ქმნულკეთილი და ერსა მას ქართველსა, ვაზისა ირგვლივ ცხოვრება აუგია და ენა იგი სამეტყველო, ღმრთის მფარველობით, სრულყოფილად შემოურჩენია საკეთილდღეოდ. ამას მეტყველებს სახელნი ქუეყანათა, ადგილთა, ტომთა, ქალაქთა, მდინარეთა, კუნძულთა, მთათა თუ ზღვათა და სხვათა და სხვათა.

ცნობილ არს წარღვნა — რისხვა ღმრთისა ცოდვათა გამო, ოდეს ხმელეთი განიპო. მიწას, რომელი „ეორ ეპა-სა“ და „აფარ იქა-ს“ განშორდა „ამიერ იქა“ ეწოდა, ხოლო ხმელეთსა, მუნ მცხოვრებთა მიერ „მე აქ ის იქა“. ოკენესა მათ შორის ქმნულსა მიმოქცევა აქვნდა. მუნ ხმელეთი ჟამით ჩნდებოდა და ჟამით წყლით იფარვიდა, ესეთ მიწას „ლანდია“ შეარქვეს: ლანდია, ჰო, ლანდია; იოტ-ლანდია, ზე-ლანდია, შუათ-ლანდია, გარე-ლანდია, ის-ლანდია, ი-რა-ლანდია... ასეთი „ლანდია“ ათი იყო და ოკეანესაცა „ათ-ლანდის“ არქვეს (ათ-ლანდასი კან არი).

ცნებით მეტყველებს ისიცა რომა ყოველ ქუეყანასა სახელი მიწის თვისებისა და მნიშვნელობის გამო ჰქვია. ესე არს: გვიანა, მალი, სუ მალი, მალდივ, მალთა, მალ ავი, სენ ეგალ ი, ტანგანია (განიერი ხისა გამო), ბრაზილია (ჰაერითა), კანადა თუ ყანადა (კვებეკითურთ), ორ ეგონ, ფლო რიდა, ფლა მანდ, გუათ ემალა, მალა ე ზეა, სური ნამ, ანამა, ნამდო, ნამ იბი ა (ცივი დინებისა გამო, ჰო, ტენ ტოტი), მუნ ტენია, ვლახე, არა ვაკე, არა უკანა (მათ უკანა ქუე-ყანა წყალს მიეცა, უწინ მახარაუკანია ერქვა), ტია ვან აქო (კანთოთო), მატარამ, მენდოსა, ანგლი ა (ანგლობითა უქმე დღითა), გონდ ვანა, სავა-ნა, ჰა ვანა, ლართ აგენ, კარ ელია, კარ ინთია, კარ მატ, კარ ია, კარ ენე, მადგას კარ, იმერ ინ, მარგ იან ე, სიამი, ეგ იფთე, ელბა ტინ, ფალ ეს ტინა, კაპა დოქია, ამორე ა, არ ა მე ა, შუა მე ერ, ქუვეით, უგარეთ, ქანაანი, იერ იქონ, გეხ ერი, აქად, აქაია, აქავე, აქემენედ (პირკანია), ე პირ, ე ტოლ, ა კარ ნან ი ა,, არიკა, თესა ლია, გრეკს (გარეკვითა), მიდია, ნუ მიდია, თუნის, ნაგანო, კან აგავა, ის იკავა, იბარ აქ (დაბლობითა), ია მატო, ია კუტია, ია მალი, სი ბერია, რუსია, რუ-ანი, რუ-ანდა, Nაურუ, პერ უ, ჩეხია, ითალ, აფარ, იამენ და ა.შ

(გაგრძელება იქნება)

„მეფე ლირი“ - ადამიანის მარადიული ტრაგედია

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სცენაზე დაახლოებით ორი თვეა, რაც შექსპირის „მეფე ლირი“ გამოჩნდა.

შექსპირი რომ გენიალურია, იმაშიც მჟღავნდება, რომ მისი ყოველი პიესა, ყველა ნაწარმოები არის თანამედროვე. მის არც ერთ ნაწარმოებს არ ამჩნევია, როგორც ერთი კრიტიკოსი წერს, „სიძველის მოსაბეზრებელი ჩრდილოვანი დამღა“. „მეფე ლირის“ ტრაგედია კი, შეიძლება ითქვას, თითოეული ადამიანის ტრაგედიაა, ზოგადად, როგორც ჩვენი ყოველდღიურობა და საბედისწერო სვლა სცილასა და ქარიბდას, კეთილსა და ბოროტს შორის.

თეატრის ისტორიის მკვლევარები ალ. იმედაშვილის მიერ განხორციელებულ „მეფე ლირზე“ რომ საუბრობენ, აღნიშნავენ, რომ რეჟისორს ლირი ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც ფსიქოლოგიურად განვითარებადი გმირი, რომელიც თავდაპირველად გულზვიადი და ამპარტავანი მმართველია, ხოლო ადამიანური და მამობრივი გრძნობა სადღაც უხილავ ჯურღმულში აქვს მიმალული, მაგრამ განვლო რა მეფობის ყველა საფეხური, თანდათან იგრძნო, თუ რა არის უსამართლობა, გაჭირვება, დაინახა ადამიანი, რომელიც მისთვის მანამდე უცხო იყო“...

ჩვენი დიდი მაესტროს რობერტ სტურუას მეფე ლირიც სასტიკია. სპექტაკლის დაწყებისთანავე ჩანს რამაზ ჩხიკვაძის მიერ განსახიერებული მეფის ხისტი და, შეიძლება ითქვას, გულქვა ხასიათი. სტურუას ლირი სასტიკია და რასაც შემდგომ მისი ქალიშვილები მის მიმართ ჩადიან, თითქოს განაჩენია, გარდაუვალი აუცილებლობა, თითქოს ქალიშვილები, იქედნეს ნაშობნი, იქედნურად იქცევიან, იქ თითქოს დასასრულიც კანონზომიერია...

სულ სხვა რამ ხდება რეჟისორ **ზურაბ გეწაძის** „მეფე ლირში“.

გეწაძის მეფე ლირი სხვა სცენიურ ინტერპრეტაციებს შორის გამორჩეული სწორედ იმითაცაა, რომ გეწაძის მეფე ჩვეულებრივი ადამიანია და მისი ყოველი მეფური ნაბიჯი არ არის ანგარებით განხორციელებული. სახელმწიფოს დანაწილება და მისი შვილებისთვის გადაცემა (ამ სცენით იწყება სპექტაკლი — ი. კ.), მამის, ადამიანის ისეთი გადაწყვეტილებაა, რომელიც ფიქრობს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ, რადგან ვაჟი არა ჰყავს, შესაძლოა, თავის უსაყვარლეს ასულებს შორის კონფლიქტი წარმოიშვას და ამის თავიდან ასაცილებლად ის შვილებს თვითონ „ურიგებს“ სამბრძანებლო მამულებს.

რეჟისორი პიესას ფილოსოფიურად უდგება და მიმაჩნია, რომ მან ზუსტად მიაგნო შექსპირის კონცეფციას, რადგან ვერც ერთი მმართველი, მეფე და იმპერატორი ამ წუთისოფელში ვერ გაექცევა ადამიანურ ტრაგედიას.

გეწაძის მეფე ლირი ჩვეულებრივი ადამიანია, თუმცა სპექტაკლის პირველივე წუთებიდან ჩანს, ლირის მეფური ძალმოსილება, მაგრამ ეს არის პოზა, ეს არის ის, რაც სინამდვილეში სჭირდება ხალხს, მის გარემოცვას, არადა მეფე გახლავთ მოსიყვარულე მამა, ჩვეულებრივი, გულმოწყალე ადამიანი, რომელსაც სურს, შვილებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტი მოსპოს და სამეფოც მამობრივად გაანაწილოს.

ლირის ცხოვრების უკანასკნელი დღეების ქრონიკა გეწაძის სპექტაკლში გამოუვალ მდგომარეობას ქმნის — მეფეს შვილებისთვის ქონება რომც არ დაერიგებინა, მისი სიკვდილის შემდეგ დაიწყებოდა შფოთი და არეულობა. თავის სიცოცხლეში გადააბარა და მაინც იგივე მოხდა, ანუ რასაც გვიმზადებს წუთისოფელი, ეს გარდაუვალია. ამას ვგულისხმობდი, წეღან გეწაძისეული დადგმის ფილოსოფიურობაზე რომ მივანიშნებდი.

გენიალურმა შექსპირმა, მე მგონი, სწორედ ეს ჩაიფიქრა და რეჟისორმაც ზუსტად გაუგო — სიყვარულსა და სითბოს აქრობს და კლავს მატერიალური კეთილდღეობა. გაუმაძღარია ადამიანის გული — რაც მეტი აქვს, მეტი უნდა, გულქვა ხდება და ადამიანის სახეს ხშირად კარგავს.

ლირის ტრაგედიის ჩვენება, ზუსტადაც დროული იყო დღეს. თითთქოს დახატულია ჩვენი ყოველდღიურობის სურათი, მეფის სახით სცენაზე თითქმის 3 საათის განმავლობაში ეწამება უბრალო ადამიანი, იტანჯებიან მისი შვილები, სასტიკია სპექტაკლში ადამიანის ბედი, რაც, საბოლოო ჯამში, ჩვენი ცხოვრების ამაოებას და ამ ამაოების ტრაგიკულობას გვიჩვენებს. ეს კი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ეპოქათა ცვლა ადამიანს არ ცვლის. დრო გვთავაზობს ცხოვრების ახალ დეკორაციებს, თორემ ადამიანი კვლავ ისეთად რჩება, რაც იყო თუნდაც შექსპირის ეპოქაში. სწორედ ამან განაპირობა სპექტაკლის აქტუალობა დღეს.

დეკორაცია ვახსენე ზევით და არ შემიძლია არ აღვნიშნო, მხატვარ შოთა გლურჯიძისუაღრესად საინტერესო და მათალ-პროპესიონალური მიგნებები.

პირველივე სცენაში ჩანს სასახლის ქონგურების მსგავსი დეკორაცია, რომელზეც საათებია გამოსახული, რაც უდავოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ დრო წარმავალია, მაგრამ ის, რაც ამ სცენაზე ახლა გათამაშდება, მარადიული პრობლემაა, ამიტომ რა დროა, ამას მნიშვნელობა არ აქვს... მეორე მოქმედებაში სცენის სიღრმეში ფარდა იწევა და თეთრი აგურის კედლები მოჩანს, რაც იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ცხოვრება აგურის კედელივითაა და მას ვერაფერი დაშლის და გაალღობს სიყვარულის გარდა, რომელიც სპექტაკლში ისევე, როგორც ცხოვრებაში, იმდენად დეფიციტურია და სუსტი, რომ გულსაკლავად ქრება და კვდება... (ამ მხრივ საინტერესოა კორდელიას როლიც)

აღსანიშნავია სცენის იარუსებზე „შემომსხდარი“ მაყურებლების ბუტაფორიები, რომლებიც სპექტაკლის ბოლოს გვამებად ცვივიან „ომგადახდილ“ სცენაზე. ამ სცენურ რეალობაში ამბობს სწორედ სპექტაკლის დასასრულს ოლბენის მთავარი: „მიცვალებულები გაასვენეთ! ქვეყანას შველა სჭირდებაო!“

მთელი სპექტაკლის განმავლობაში ყველაზე ოპტიმისტური ეს სცენა და ეს სიტყვებია. რეჟისორის საქებრად უნდა ითქვას, რომ მან ამით სწორედ მომავალზე მიგვანიშნა: განცდები, გრძნობები და მოქმედებანი, რაც ჩვენს თვალწინ დატრიალდა, ისედაც შეუძლებელი იყო, არ გამქრალიყო, წარსულის უკუნში არ გადაენაცვლა ყოველივეს, რადგან ბოროტება, გულცივობა, შური და ღვარძლი დღემოკლეა, სიყვარული კი მარადიული.

სწორედ ეს ჩანდა მთელ სპექტაკლში, სიცივე, რომელიც აზრობდა თითოეული პერსონაჟის გულს, სიკვდილმა გააჩუმა და დააწყნარა, რომ მერე მომავლის მზე ამოსულიყო...

სხვანაირად ვერც მოხდებოდა....

თეატრის კრიტიკოსები, ალბათ, სათანადოდ შეაფასებენ **ზურაბ ყიფშიძის** არაჩვეულებრივად შესრულებულ მართლაც დაუვიწყარ როლს ამ სპექტაკლში. ლირს, რომელიც, როგორც ვთქვი, გარემოებათა ტყვე და ცხოვრებისეული ტრაგიზმით ტანჯული გულკეთილი მამაა, რომელსაც, როგორც ყველა ადამიანს, სინამდვილეში, არა აქვს ადგილი, სადმე თავი რომ შეაფაროს...

რადგან გაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულება არ იძლევა იმის შესაძლებლობას, სპექტაკლის დეტალები განვიხილოთ, ამ შესანიშნავი დადგმით აღფრთოვანებული, აქ დავსვამ წერტილს. ქართული საზოგადოების სასიხარულოდ კი ის მინდა ვთქვა, რომ ეს სპექტაკლი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის უდავოდ დიდი გამარჯვებაა, ცხოვრება გრძელდება და რაც უნდა უნდოდეს ვინმეს ქართული კულტურული აზროვნების დაკნინება, ჩვენი ხმა კვლავ გაისმება, როგორც სპექტაკლშია „ზღაპრული „პილიკოკივით“, მუდმივად რომ კივის „პილიკოკის“ წარმოსახვით მთაზე, ანუ მსოფლიო კულტურული საზოგადოების წინაშე.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

არის თუ არა დუმილი ყოველთვის ოქრო?!

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ნაცხროვა, მათი პირსისხლიანი ბელადის მეთაურობით, რუსეთთან ყოველგვარ დიალოგს გამორიცხავდნენ. იმაზე კი არაფერს ამბობდნენ, რომ რუსეთის ხელისუფლებას, პოლიტიკოსებს თუ ჟურნალისტების დიდ ნაწილს მათი ხსენებაც არ უნდოდათ, არათუ დიალოგი. დღესაც კი შლეგ საკაშვილს საქართველოსთან და ქართველების გვერდით არ მოიხსენიებენ. მათთვისაც იგი საქართველოს და ქართველების შემარცხვენელია, ამიტომაც ეუხერხულებათ მისი გაიგივება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობასთა,. მიუხედავად იმისა, რომ საკაშვილმა რუსეთს საქართველოს ტერიტორიები უბოძა გაუქმებული ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიის აღდგენით.

სამწუხაროდ, ვითარება არც 2012 წლის არჩევნების შემდეგ შეცვლილა და „ბუტიაობა“ მეზობელ სახელმწიფოსთან დღემდე გრძელდება. მართალია, იმართება აბაშიძე-კარასინის ორმხრივი შეხვედრები, ეკონომიკური ურთიერთობაც ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში. ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი აზრით, ქვეყნის მთავარი პრობლემა — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ ვიწრო წრეში ორმხრივი შეხვედრებით შეუძლებელია.

დუმილსა და უბრად ყოფნას უკვე მოაქვს ჩვენთვის არასასურველი შედეგები. სხვისი რა გითხრათ, მაგრამ პირადად ჩემთვის შეურაცხყოფა იყო, როდესაც 9 აპრილს დაინიშნა და ჩატარდა ე. წ. სამხრეთ ოსეთის საპრეზიდენტო არჩევნები. ამასთან, გაიმართა რეფერენდუმი ამ ძირძველი საქართველოს კუთხისთვის დამატებით „ალანიის“ დარქმევის მოთხოვნით! საინტერესოა, შემთხვევითი იყო თუ სპეციალურად დაამთხვიეს ამ დღეს ჩვენთვის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე არჩევნების დანიშვნა?

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ე. წ. „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი“ თიბილოვი მოსკოვში იყო და რუსეთის პრეზიდენტს პუტინს ესტუმრა. შეხვედრა იქაურმა ტელევიზიებმა ფართოდ გააშუქეს, მაშინ, როდესაც მსგავსი დონის შეხვედრებს მხოლოდ ინფორმაციის სახით გადმოსცემენ. თიბილოვთან შეხვედრისას დაიტრაბახა თუ პუტინის გულის მოსაგებად განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთს ალანიას დავარქმევთო. თუმცა რუსეთის პრეზიდენტმა შეაწყვეტინა — კი, მაგრამ, ძველი სახელიც უნდა დარჩესო. სავარაუდოდ, პუტინის ეს სიტყვები ჩვენი, ქართველების გასაგონად იყო ნათქვამი. ფაქტობრივად, დიალოგისთვის მიგვიწვია, ჩვენ კი დღემდე დუმილს ვარჩევთ.

კარგია, როდესაც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას საერთაშორისო საზოგადოება ერთპიროვნულად უჭერს მხარს. მათ შორის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი, რომლის განცხადებითაც არ აღიარებენ ამ არჩევნებს, ამით რა შეიცვლება? არც არაფერი! ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია. სწორედ ამ პრინციპით მიიერთა რუსეთმა ყირიმი. მიუხედავად სანქციების დაწესებით, იგივე საერთაშორისო ორგანიზაციების ტრაციდიული შეშფოთება-აღშფოთების მიუხედავად, ეს საკითხი განხილვას აღარ ექვემდებარებაო, განაცხადეს და თითქმის აღარავინ ახსენებს ყირიმის საკითხს.

არახალია, რომ ნაცბანდას რუსეთის საფრთხობელად გამოყვანა თავიანთ სასარგებლოდ, ხელისუფლებაში დასარჩენად სჭირდებოდათ. იმასაც ამბობდნენ, ხელისუფლებაში ჩვენ თუ არ ვიქნებით, ქვეყანა დაიღუპება, რუსეთი დაგვიპყრობსო. ალბათ, ჯერ კიდევ 2012 წლის არჩევნების შემდეგ მალევე უნდა დასრულებულიყო მათი დემაგოგია, მაგრამ....

დუმილით იმას მივაღწიეთ, რომ იქაური პოლიტიკოსები თუ პოლიტოლოგები საქართველოს ფაქტობრივად, აღარ ახსენებენ. მხოლოდ საინფორმაციო საშუალებები იშვიათად თუ გააკეთებენ საქართველოზე რაიმე სიუჟეტს, მხოლოდ ეგ არის. ყირიმის მიერთების მიუხედავად, 3 წელია, უკრაინის საკითხს თითქმის ყოველდღიურად განიხილავენ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ რუსული არხების ყველა თოქ-შოუში უკრაინელი პოლიტოლოგები აუცილებლად მონაწილეობენ. ამით უკრაინელები ცდილობენ, მიიტანონ განსხვავებული აზრი მაყურებლამდე. ჩვენ კი...

სირიის სამთავრობო ჯარების დაბომბვამ, თავისთავად რუსეთის მხარის გაღიზიანება გამოიწვია. რუსი პოლიტოლოგების ნაწილი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის ტილერსონის ოფიციალური ვიზიტის (რომელიც ამ დღეებში გაიმართა) გაუქმებას ითხოვდა. თუმცა საბოლოოდ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ჯობია მოვუსმინოთ მოწინააღმდეგესო. სავარაუდოდ, რუსეთში ცივი მიღების თავიდან ასაცილებლად, ტილერსონი ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ტელეფონით ესაუბრა თავის კოლეგა ლავროვს. საუბრის დეტალები უცნობია, თუმცა ოფიციალურად ითქვა, რომ ორმხრივ ურთიერთობას დეტალურად პირისპირ შეხვედრისას გაარკვევენო. დიახ, ჩვენზე დიდი და ძლიერი ქვეყნებიც არ ამბობენ უარს მოწინააღმდეგესთან დიალოგზე.

დალაგებული ვითარება, როგორც ერთი შეხედვით შორიდან ჩანს, არც ევროკავშირის ქვეყნებს შორის არის. სხვადასხვა ქვეყნებში გახშირებულ ტერაქტებზე ამჯერად არ ვისაუბრებთ. საინტერესოა ის გარემოება, რომ ინგლისსა და ესპანეთს შორის დაიძაბა ურთიერთობა. ამჯერად საჯილდაო ქვად ლა-მანშის სრუტე გახდა. არადა, ორივე ქვეყანა ნატოს წევრია. ამასობაში კი აშშ-ის სამხედრო ფლოტი ჩინეთის ზღვისკენ დაიძრა.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, ყოველივე ამ გარემოებასთან საქართველო რა შუაშიაო. ჩვენდა სამწუხაროდ, აგერ, უკვე ორი ათეული წელია, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების იმედად ვართ. თუმცა შედეგი მიზერულია. ამჯერად, როგორც ვხედავთ, მსოფლიოში მძიმე პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, არავის იმედი არ უნდა გვქონდეს. საშიშროება, სამწუხაროდ, არსებობს. საერთაშორისო ორგანიზაციები რითაც დაგვეხმარებიან — შეშფოთდებიან და აღშფოთდებიან. ეს იქნება მაქსიმუმი. ამიტომ აუცილებელია, ქვეყანაში შევიმუშაოთ და ვიმოქმედოთ ჩვენი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც საშინაო ასევე საგარეო პოლიტიკურ საკითხებში.

გია ბურდული
551 71 27 07

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— **რა ფორმით და რა პირობებით ხდება ჯარიმის, როგორც სასჯელის სახის, გამოყენება ?**

სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42–ე მუხლის შინაარსს:

— მუხლი 42. ჯარიმა

1. ჯარიმა არის ფულადი გადასახდელი.

2. ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 2000 ლარი. თუ ამ კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით, ჯარიმის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 500 ლარზე ნაკლები.

3. ჯარიმის ოდენობას სასამართლო ადგენს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და მსჯავრდებულის მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც განისაზღვრება მისი ქონებით, შემოსავლით და სხვა გარემოებით.

4. სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს გადასახდელი ჯარიმის ოდენობა ლარებში.

5. ჯარიმა დამატებით სასჯელად შეიძლება დაინიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული არ არის.

5[1]. თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს.

6. თუ მსჯავრდებული თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას, ან თუ გადახდევინება შეუძლებელია, ეს სასჯელი შეიცვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, გამასწორებელი სამუშაოთი, თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით. ამასთანავე, დრო, რომლის განმავლობაშიც მსჯავრდებული იხდიდა ამ სასჯელს, ჩაითვლება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, გამასწორებელი სამუშაოს ან თავისუფლების შეზღუდვის ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: დაკისრებული ჯარიმის 50 ლარი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ოთხი საათი, გამასწორებელი სამუშაოს ერთი დღე, თავისუფლების შეზღუდვის ერთი დღე. ამასთანავე, ჯარიმის ნაცვლად დანიშნული საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომისათვის, გამასწორებელი სამუშაოსათვის ან თავისუფლების შეზღუდვისათვის ბოროტად თავის არიდების შემთხვევაში იგი შეიცვლება თავისუფლების აღკვეთით, ამ კოდექსით სასჯელის ამ სახისათვის გათვალისწინებულ ფარგლებში და დადგენილი წესით.“

* * *

— შეიძლება თუ არა საქორწინო ხელშეკრულების შეწყვეტა?

— თქვენს შეკითხვას პასუხობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1180-ე მუხლი.

ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს ნებისმიერ დროს მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ცალმხრივი უარი საქორწინო ხელშეკრულებაზე დაუშვებელია.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საქორწინო ხელშეკრულება წყდება განქორწინებისას.

* * *

— **როგორია გამოსაცდელი ვადის საკითხი არასაჯარო, ანუ კერძო საწარმოებში?**

— საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს შრომის კოდექსის”მე- 9 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, შესასრულებელ სამუშაოსთან პირის შესაბამისობის დადგენის მიზნით, მხარეთა შეთანხმებით, კანდიდატთან შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ დაიდოს შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით არა უმეტეს 6 თვისა. შრომითი ხელშეკრულება გამოსაცდელი ვადით შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით; სხვა შემთხვევაში ასეთი ხელშეკრულება ჩაითვლება შრომით ხელშეკრულებად.

მე-2 ნაწილი: დამსაქმებელს უფლება აქვს გამოსაცდელი ვადის განმავლობაში ნებისმიერ დროს დადოს კანდიდატთან შრომითი ხელშეკრულება ან მოშალოს გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულება.

მე-3 ნაწილი: გამოსაცდელი ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაზე არ

ვრცელდება ამ კანონის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა /რაც გულისხმობს შემდეგს: შრომითი ხელშეკრულების დამსაქმებლის ინიციატივით მოშლის შემთხვევაში დასაქმებულს მიეცემა არანაკლებ ერთი თვის შრომის ანაზღაურება/, თუ გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. გამოსაცდელი

ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში დასაქმებულის შრომა

ანაზღაურდება ნამუშევარი დროის შესაბამისად.

ათი ფაქტი იმის შესახებ, როგორ შეიძლება მიაღწიო წარმატებას

უორენ ბაფეტი

მილიონერმა რიჩარდ სენტ-ჯონმა ხუთასზე მეტი ინტერვიუ აიღო ყველაზე ცნობილი ადამიანებისგან, მათ შორის ბილ გეითსისგან, ოპრა უინფრისგან, რიჩარდ ბრენსონისა და ჯოან როულინგისგან, გაანანალიზა ასობით სხვა ადამიანის ბიოგრაფია, მემუარები და დაწერა წიგნი სახელწოდებით „დიდი რვიანი“. წიგნში მოთხრობილია, როგორ აღწევენ ადამიანები წარმატებას და რა აერთიანებს მათ. გთვაზობთ ფრაგმენტებს წიგნიდან.

წარმატებული ადამიანები თავიანთი გატაცებებით ცხოვრობენ

ყველა წარმატებული ადამიანი იმას აკეთებს, რაც მას შთაგონებს.

ცნობილი მსახიობი რასელ ქროუ ყოველთვის ამბობს, რომ არსებობს მხოლოდ ერთი მიზეზი, რის გამოც მან მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის „ოსკარი“ მოიპოვა: „მე ძალიან მომწონს თამაში. ეს მე მავსებს, მიყვარს გატაცებით. მიყვარს ისტორიების მოყოლა. ამაშია ჩემი ცხოვრების აზრი“. ცნობილმა გამომგონებელმა თომას ედისონმა ერთხელ თქვა: „მე არ მიმუშავია არც ერთი დღე, მე მხოლოდ სიამოვნებას ვიღებდი მუშაობით“.

ბილ გეიტსი

წარმატებული ადამიანები ბევრს შრომობენ

დაივიწყეთ 8-საათიანი სამუშაო დღე. წარმატების მისაღწევად ბევრი შრომა მოგიწევთ. ცნობილი ტელეწამყვანი ოპრა უინფრი ამბობს, რომ გადასაღებ მოედანზე იგი დილაუთენია მიდის: „ადრიანი დილიდან ფეხზე ვარ. მზის სინათლესაც ვერ ვხედავ, რადგან მთელი დღე პავილიონიდან პავილიონში გადავდივარ. თუ გინდათ, წარმატებას მიაღწიოთ, დღეში თექვსმეტი საათი უნდა უმუშაოთ“.

წარმატებული ადამიანები ფულისთვის არ მუშაობენ

წარმატებული ადამიანების უმეტესობა ფულისთვის კი არ მუშაობს, არამედ იმას აკეთებს, რისი კეთებაც უყვარს. მაგალითად, ბილ გეითსი ამბობს: „როდესაც ჩვენ Microsoft-ს ვქმნიდით, არც კი გვიფიქრია, რომ ამით ფულს ვიშოვიდით. ჩვენ თავად პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროცესი გვიზიდავდა. არც ერთ ჩვენგანს არ უფოქრია, რომ ჩვენი გამოგონება გიგანტურ კორპორაციად გადაიქცეოდა“.

წარმატებულ ადამიანებს შეუძლიათ აჯობონ საკუთარ თავს

მენეჯმენტის „მამა“ პიტერ დრუკერი ყოველთვის ამბობდა, რომ წარმატების გასაღები იმაშია, საკუთარი თავი აიძულო, რომ იმოქმედოს. „მთელი თქვენი წარმატება ნიჭზე კი არა, იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეგიძლიათ კომფორტის ზონიდან გასვლა“, — ამბობს პიტერი. რიჩარდ ბრენსონი კი ასე აყალიბებს ამ მოსაზრებას: „მე ყოველთვის საკუთარი შესაძლებლობების ზღვარზე ვმუშაობ. ეს ძალიან მეხმარება სწრაფად გავიზარდო“.

წარმატებული ადამიანები კრეატიულები არიან

ყველასთვის ცნობილი „პროდუქტი“ იდეიდან ჩნდება. თუ გინდათ, წარმატებას მიაღწიოთ, კრეატიული უნდა გახდეთ. თედ თერნერი პირველი ადამიანი იყო ვინც მოიფიქრა, რომ მაუწყებლობა დღე-ღამის განმავლობაში უწყვეტი უნდა ყოფილიყო. ამ იდეის წყალობით თედი მულტიმილიონერი და მადიამაგნატი გახდა.

წარმატებულ ადამიანებს უნარი შესწევთ, გადალახონ საკუთარ თავში დაურწმუნებლობა

ვის არ შეპარვია ეჭვი იმაში, რომ საკმარისად ლამაზი, წარმატებული, გონიერი არ ნიჭიერი არ არის. თუ გინდათ, წარმატებას მიაღწიოთ, უფრო სწორად, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება მოახდინოთ, თქვენი დაურწმუნებლობა უკუაგდეთ. ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი ნიკოლ კიდმანი ყვება: „მე ყოველთვის მეჩვენება, რომ ცუდად ვთამაშობ, ფილმის გადაღების დაწყებიდან ორი კვირა მტანჯავს ეს ეჭვი და რეჟისორს ყოველდღე კითხვების დასმით ვღლი. მერე კი ვმშვიდდები!“ ან თქვენ უნდა აჯობოთ დაურწმუნებლობას, ან ის გაჯობებთ!

წარმატებულ ადამიანებს შეუძლიათ ერთ რამეზე მოახდინონ კონცენტრირება

ახლა ბევრი საუბრობს იმაზე, რომ არსებობს ყურადღების დეფიციტის სინდრომი, რაც ადამიანს ხელს უშლის განვითარებაში. ეს სინდრომი მართლაც არსებობს, მაგრამ მას ხშირად ურევენ მოტივაციასა და ინტერესის არარსებობაში. თუ ადამიანი საყვარელ საქმეს იპოვის, მასზე მოახდენს კონცენტრირებას. ცნობილი რეჟისორი ნორმან ჯეისონი ამბობს: „მე ვფიქრობ, რომ ცხოვრებაში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, შეგვიძლია თუ არა რაიმეზე კონცენტრირება და მისთვის საკუთარი თავის მიძღვნა“. იპოვეთ თქვენი საქმე, მოახდინეთ კონცენტრირება და ბედნიერი იქნებით.



ჯოან როულინგი

წარმატებულ ადამიანებს შეუძლიათ შემჭიდროებულ ვადებში მუშაობა

იმ ადამიანებს, ვისაც საკუთარი საქმე უყვარს, სულაც არ აღელვებთ, რომ მის საკეთებლად ცოტა დრო რჩებათ. ისინი ცდილობენ, მის საკეთებლად ორიოდე წუთი მაინც გამონახონ. მაგალითად, როდესაც ჯოან როულინგი „ჰარი პოტერს“ წერდა, მისი გოგონა ძალიან პატარა იყო: „ქუჩაში ვასეირნებდი ხოლმე ჩემს გოგონას და როგორც კი ჩაეძინებოდა, მაშინვე მახლობელ კაფეში შევრბოდი და ვიდრე გაიღვიძებდა, ისეთი სისწრაფით ვწერდი, როგორითაც შემეძლო“.

წარმატებულ ადამიანებს პარასკევი არ უყვართ

დაფიქრებულხართ იმაზე, რომ ბევრი მდიდარი ადამიანი პენსიაზე არ გადის? აი, როგორ ხსნის ამას უორენ ბაფეტი: „ვაღმერთებ მუშაობას. როცა პარასკევი მოდის, მე ეს სულაც არ მახარებს, მე ვიცი, რომ დასვენების დღეებშიც ვიმუშავებ“. ცნობილი მსახიობი და პროდიუსერი უორენ ბიტი კი ამატებს: „ნამდვილი პროფესიონალები წარმატებას ისე აღწევენ, რომ ბოლომდე ვერც კი აცნობიერებენ, მუშაობენ თუ მუშაობით მიღებული სიამოვნებით ტკბებიან“.

წარმატებული ადამიანები მუდამ სრულყოფილებისკენ ისწრაფვიან

წარმატებული ადამიანები ყოველთვის იმაზე ფიქრობენ, როგორ მიაღწიონ სრულყოფილებას და გაუმჯობესონ საკუთარი პროდუქტი. მაგალითად, დიდი გამომგონებელი თომას ედისონი ამბობდა: „როდესაც რაიმე ნივთს ვუყურებ, იმაზე ვფიქრობ, როგორ გავაუმჯობესებდი მას“. და კიდევ: „კარგია, რომ რვასაათიანი სამუშაო დღე მხოლოდ ახლა შემოიღეს, ჩემს ახალგაზრდობაში რომ ყოფილიყო ასე, ძალიან ბევრი საქმე დაუმთავრებელი დამრჩებოდა“.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

ბელა გველესიანს ვულოცავთ შვილიშვილის **გაბრიელ გათენაძის** დაბადების დღეს, პატარა გაბრიელს კი ვუსურვებთ გაზრდილიყოს ქვეყნისთვის სასახელო ვაჟკაცი!

„საერთო გაზეთი“

ISSN 2233-3983

9 772233 398001

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com